"დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი" გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№12 (252)
დეკემბერი
2019 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეერთე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ძვირფასთან თანამემამულენო!

ფერხულიერი ყოფიერებისა ახალი 2020 წელი!

ფარავანი. წმინდა ნინოს სალოცავი ნიშა



„აქ ოდითგანვე ფეღერდა სიტყვა რუსთაველისა.

ვახუშტი

როლანდ გიორგაძე

სიყალბემ წალეკა ყველაფერი. პიროვნების ჭეშმარიტი სახე განსაცდელებისა და მრისხანების ჟამს გამოიცნობა. ასევე, თუ მის პატივმოყვარეობას შეეხები. ბოლომდე თამაში არავის შეუძლია, თვით დიდ მსახიობებსაც კი. ბოლომდე ვერ შეინიღბები. ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოჩნდება შენი ჭეშმარიტი სახე, შენი ბუნება.

– რატომ ამბობ ასე, ხომ არავინ გაწყენინა? – უთხრა ტოტებგაშლილი ვაშლის ძირში რკინის ფეხებიან ძელსკამზე მჯდომმა ასაკოვანმა გლეხმა მასავით მხცოვან კაცს, რომელიც იდაყვებით მოცემენტებულ, მრგვალ მაგიდას დაყრდნობოდა და შორეთს უმზერდა.

– რა გითხრა, ჩემო ლეუშა, მეტად გულდასაწყვეტი ამბავი გავიგე.

– რა ამბავი, კაცო?

– რა ამბავი და... – პატარა შეყოვნდა, მერე დანანებით თავი გადაიქნია და განაგრძო, – ოდესმე თუ იფიქრებდი, თამაზი და ციალა ერთმანეთს დაცილდებოდნენ, თანაც ამ ასაკში, სიბერეში, კაცო. – ხელები მაგიდაზე დააწყო მოსაუბრემ, სოფლის ყოფილმა მასწავლებელმა გრიგოლმა, რომელსაც შინაურულად გრიშას ეძახდნენ.

– რას ამბობ?! – შეიცხადა ლეუშამ, უსიამო ამბით გაოცებული ფეხზე წამოდგა და სახეზე დაშამრული ხელი ჩამოისვა.

– დაჯექი, დაჯექი. მე მეგონა, ასე პანტა-პუნტით მხოლოდ ქალაქში თუ სცილდებოდნენ ერთმანეთს, სადაც ქალი ქალს აღარ ჰგავს და კაცი კაცს. იქაურმა სიბილწეებმა ხედაავ, აქაც შემოაღწია! ეჰ! რა უკუღმართ დროში ვცხოვრობთ! – თავი გააკანტურა გრიშამ, – ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი – ადამიანი, სამყარო, კლიმატი, ქალაქი ქალაქს აღარ ჰგავს და სოფელი სოფელს. მოიწამლა ქვეყნიერება, ზნეობრივად გათახსირდა. აღარც დიდმა იცის თავისი ადგილი და აღარც პატარამ. ერთი გამაგებინა, ამ ბავშვებს მაინც რაღა ემართებათ? რაღაც უნიათოდ, გამოთაყვანებულებივით დადიან, მოწყენილი და ხალისდაკარგულნი. რა ქნა, კაცო, ამ დრომ! – ისევ დროს უკბინა მხცოვანმა, – ბავშვებს ბავშვობა დააკარგვინა, გაგიგონია! ყველაფერი ეზარებათ, ყველაფერი, სწავლაც და შრომაც, ბურთის თამაშიც კი. ტელეფონი საყურესავით აქვთ მიწებებული, სულ ტელეფონში არიან შემძვრალი. ნეტა გამაგებინა, ამდენი რა აქვთ სალაპარაკო. ადრე, ჩვენს დროს, ბავშვს რომ ეტყოდი, წყალი მომიტანეო, კისრისტეხით გარბოდა... – წარსულს შესტირა გრიშამ და სახე გაუნათდა, – ახლა კი წელმოწყვეტილივით მიიზლაზნება.

– კარგი რა, გრიშა, ნუ იცი ყველაფრის გაბუქება. – ღიმილი მოერია ლეუშას, ცალი ხელით მაგიდას დაეყრდნო და ისე დაეშვა სკამზე. – შე კაცო, თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობენ. აბა, ხომ არ ჩამორჩებიან თავიანთ უცხოელ თანატოლებს. ერთში კი შემიძლია დაგეთანხმო, მართლაც ნამეტანი გაზანტდნენ, მართლაც აღარ ეკარებიან ბურთს, მაგას მეც დავაკვირდი და შედეგიც სახეზეა. რას ჰგავს ჩვენი ფეხბურთი? – ლეუშა ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი იყო. ახალგაზრდობაში თვითონაც დასდევდა ბურთს, რაიონული ნაკრების ფეხბურთელი იყო და შანსს არ უშვებდა ხელიდან, რა თემაზეც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, ფეხბურთი რომ არ ჩაეკვეხებინა. – არადა, როგორ მიყვარდა! შემაძულეს კაცო. ახლა აქა-იქ თუ გამოერევა ნიჭიერი, მაგრამ რად გინდა, ერთი შეჯახება და მოგჭამა ჭირი მისმა ფეხბურთელობამ. სოფელში გაზრდილი ბავშვი ჯანმრთელი, ჯანიანი და ამტანი იყო. ნახევარი თბილისის `დინამოცხომ რაიონებიდან ჩასულებით იყო შევსებული. აფსუს! რა გუნდი გვყავდა!

– ლეუშა! ფეხბურთის გარდა, იმდენი სატკივარია, ჩამოთვლა რომ დავიწყო, თითები არ მეყოფა. კარგად იცი შენ, მე ყოფილი პედაგოგი ვარ და ჩემი სამზერიდან ვუყურებ ყველაფერს. ყველაზე მეტად მაინც ბავშვები მაწუხებს, ბავშვები მტკივა – ჩვენი უკვდავების დვრიტა, ჩვენი მომავალი. გულს მიკლავს მათი მიშვებულობა. თითქოს აღარავინ ზრუნავს მათ აღზრდზე. მშობლები გადაკარგულში არიან ორიოდე გროშისთვის. ბებიებს და ბაბუებს კი აღარ შეუძლიათ და იზრდებიან ქუჩაში. აი, ესაა ყველაზე დიდი თავის ტკივილი. – ღრმად ამოისუნთქა, მუჭად შეკრული თითებიდან საჩვენებელი თითი მაღლა შემართა, გაიქნია და მუქარანარევი ხმით განაგრძო, – ამაზე უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ, საზოგადოებამ. ქუჩაში რა განათლებას მიიღებს ბავშვი, გეკითხები მე შენ! განათლების გარეშე კი ქვეყანას მომავალი არ აქვს, ძმაო! – შენ ამბობ, ორიოდე გროშისთვისო. რას ამბობ, გრიშა, ბევრმა დედაქალაქში სახლებიც შეიძინა და აქაც გაიუმჯობესა მდგომარეობა.

– შვილების დაკარგვის ხარჯზე, ბიჭო! – ზოგი გალოთდა, ზოგი – ნარკომანია, ზოგიც ციხეში ზის. არ ჯობდა, ცოტა ჰქონოდათ და შვილები აღეზარდათ სათანადოდ?! მათაც გამოადგებოდათ, ქვეყანასაც და თავიანთ თავსაც. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იძულების გარეშე ქართველი არასდროს ტოვებდა მამულს, ახლა კი რიგები დგას ქვეყნიდან გაქცევაზე. საწუხარი ის არის, რომ უკან ძალიან ცოტა ბრუნდება და რა დასამალია, ბევრი ქვეყანასაც თავს ჭრის. გავსებულია იქაური ციხეები ჩვენი თანამემამულეებით, – რით დავიწყეთ და სად გადავვარდით! – მოწყვეტით ჩაიქნია ხელი გრიშამ, – ჯაჭვივით არის ყველაფერი ერთმანეთზე მიბმული. ადრე საზოგადოება სუფრასთან რომ შეიკრიბებოდა, იყო საუბარი სიყვარულზე, მეგობრობაზე, მამულიშვილობაზე და სხვა სათნო საქმეებზე. ახლა კი! – ვინმემ მაინც თქვას, სადაა საშველი! ერთი გამაგებინე, მთავრობა რას მიკეთებს? მთავრობამ უნდა იზრუნოს და არა ჩვენ უნდა ვიჭყლიტოთ თავი!

– რას იზამ, გრიშა, ოპონირებას აგრძელებდა ლეუშა, – უკეთესის იმედი უნდა ვიქონიოთ, ამაზე მეტი შავბნელი დღეებიც გამოუვლია ჩვენს ქვეყანას. ზოგი ისწავლის და ზოგიც იზარმაცებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ახალი ამაში არაფერია. მთავარია, თავისი ქვეყნის და ხალხის პატივისცემა ჰქონდეთ და მამული სათარეშოდ სხვას არ დაუტოვონ. ქვეყანა კი, ასე თუ ისე, მაინც წინ წავა...

– კაი, თუ ძმა ხარ, ჩვენ წავალთ წინ? – არ თმობდა გრიშა. – სად მივდივართ, ერთი ღმერთმა უწყის მხოლოდ. მგონი, დაღუპვისა და გადაშენებისკენ მივდივართ. გაგიგია, კაცო, ამ ხნის ოჯახის დანგრევა! – რითაც დაიწყო, ისევ იმას მიუბრუნდა, – ამ უბედური ოჯახის შვილი შემხვდა ამას წინათ, ვისაუბრეთ აქეთურიქეთურზე. შეწუხებული ჩანდა, ჩავეძიე, რა მოგვიდა-მეთქი. თავი ვეღარ შეიკავა და თავჩაღუნულმა ტირილით მიამბო ის, რაც შენ გითხარი. რცხვენოდა მშობლების გამო, – სირცხვილით თავი სად გამოვყოო.

– მაინც რა მოხდაო, ან შენ რატომ გიამბო.

– რა ვიცი, რა გითხრა. აწუხებდა ალბათ და გული გადამიშალა. – შემთხვევით შევესწარი მათ საუბარს, სიტყვებზე გამოეკიდნენ ერთმანეთსო. ქალი ამბობდა, თურმე – მთელი ცხოვრება გადაგელიე, თან გყვებოდი და შენი სათანადო ყურადღება ვერ დავიმსახურეო, უმადური კაცი ხარო, მხოლოდ შენს თავზე ფიქრობო.

– ბიჭო, სად იყო აქამდე, თუ არ მოსწონდა ქმარი, თუ სათანადო ყურადღებას არ აქცევდა, აქამდე ვერ თქვა? სამარის კართან რომ მივიდა, ახლა ცილდება? ცოტა, ადრე ეთქვა მაგ დალოცვილს, – გაიმეორა ისევ გრიშამ, იქნებ გამოსწორებულიყო. არადა, როგორ შენატროდა მათ მთელი სოფელი, რა ოჯახი აქვთო, რა თავმდაბალი, უწყინარი და უპრეტენზიო ქალიაო. თამაშობდა, როგორც ჩანს. წეღან ვამბობდი, ბოლომდე ვერ ითამაშებ-მეთქი.

– ვინ იცის, როდის გაჩნდა უკმაყოფილება, როდის გაღვივდა ბოღმის მარცვალი. – ფიქრიანად თქვა ლეუშამ და გაღმა ფერდობზე მობალახე ძროხას გახედა, რომელსაც იმდენი ეწრიალა რკინის პალოს გარშემო და ისე დაეხვია ბაწარი, ბიჯს ვეღარ დგამდა და მიწას დაჰბღაოდა. – თავის დროზე არ თქვა, ითმინა, ითმინა და ბოლოს ბუშტივით გასკდა, სახელიც გაიფუჭა და ოჯახიც შეარცხვინა. ეთქვა მის ქმრისთვის მაგ დალოცვილს, თუ რამე აწუხებდა, არ არის ის კაცი ხეპრე და რეგვენი. რაც მახსოვს, სულ შრომაშია.

– რა ვიცი, შეიძლება ბავშვმაც არ იცის ყველაფერი ან მოერიდა და არ მითხრა.

– ამბობ, ოჯახი შეარცხვინაო. – კაი, თუ კაცი ხარ ერთი, განქორწინება დღეს ვიღას მიაჩნია სირცხვილად. ეგ ადრე იყო, ადრე. ადამიანის ბუნებაში წვდომა, მის სიღრმეებში შესვლა, ძეხორციელს არ შეუძლია. მხოლოდ ღმერთია გულთამხილველი, დაილოცოს მისი სახელი. – ფეხზე წამოდგა ისევ ლეუშა და პირჯვარი გადაიწერა. როგორ ფიქრობ შენ, ალბათ სასამართლოს მიაკითხავენ. ვაი, სირცხვილო!..

– ალბათ. – უპასუხა გრიშამ. – ისე კი, სანამ ორივეს არ მოუსმენს კაცი, სიმართლეს როგორ დაადგენ. რა წუთისოფელი დადგა, ჩემო ლეუშა, კაის ხომ ვერაფერს გაიგებ კაცი – მამა შვილმა მოკლაო, ძმამ – ძმა, იმან თავი ჩამოიხრჩო, იქ უწლოვანი გააუპატიურესო. თან ამას ისეთი ზარზეიმით აცხადებენ, თითქოს დიდი სასიხარულო ამბავი ყოფილიყოს. გაირყვნა და გათახსირდა ქვეყანა. ნამდვილად მეორედ მოსვლაა. შენ კი იძახი, წინ წავაო. ეჰ, ამას თუ წინწასვლა ჰქვია... – ხელი ჩაიქნია გრიშამ, – ქვეყნის განვითარებას საფუძვლად ზნეობრიობა უნდა დაედვას. უზნეობას გადაშენებისკენ მიჰყავს ერი. ის რა ერია, სადაც უფროს-უმცროსობა არ იციან, სადაც ტრადიციებს პატივს არ სცემენ. ასეთი ერი რობოტიზებულ მოლაპარაკე ინსტრუმენტად იქცევა და ეროვნების ყოველ მახასიათებელს დაკარგავს. ასეა ეს!

– ჭირთ მოძალების ჟამს ყოველთვის ასე ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, მეორედ მოსვლაო, მაგრამ ღვთის წყალობით, სამყარო ისევ დგას. ლეუშა მეტს აღარ შეკამათებია და ფეხზე წამოიწია, – წავედი ახლა მე, ძროხა მყავს დასარწყულებელი და მერე უნდა გადავაბა, თუ არა, ქე იხრჩობს თავს. – და გრიშა დანიელის სერისკენ გაახედა.

– გადახმა, შე კაცო, ყველაფერი. – თავი წამოწია და გაღმა მხარეს გაიხედა გრიშამ. მერე სიცხისგან შეწუხებულმა ზანტად დაამატა, – თონიდან ამოვარდნილი ალმურივით ლივლივებს სივრცე! რა ქნას ძროხამ, შია და ბღავის. ასეთი გვალვები მე არ მახსოვს, ანდა რა აზრი აქვს გადაბმას, მოძოვით მაინც ვეღარაფერს მოძოვს და ქვეყანას კი აიკლებს ბღავილით.

– მართალი ხარ შენ, ალერდს გამოვუტან ყანიდან და სადმე ჩრდილში გადავაბამ.

– დაილოცე, შე კაცო და ისე წადი, გადავყევით ლაპარაკს. ხომ იცი, ახალი ამოღებულია, ცივია ჯერ კიდევ. ლეუშამ ალიცლიცებული ჭიქა ასწია, მერე მზეზე გახედა და მოკლედ თქვა:

– ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი შეგვეწიოს! – სასმისი ბოლომდე დაცალა, სკამის კიდეზე გადაფენილ იმერულ ქუდს მისწვდა და ჭიშკრისკენ გაემართა. შუა ეზოში ფეხი შეანელა, შეყოვნდა, მობრუნდა და გრიშას მიმართა:

– ბიჭო, საღამოს გადავიდეთ, შევუაროთ. ვცადოთ, იქნებ გამოგვივიდეს რამე. ეს მარტო მათი სირცხვილი კი არა, სოფლის სირცხვილიცაა. ის ბავშვი უჭკუო არ არის, ტყუილად არ მოსულა და არ შემოუჩივლია შენთვის.

ლეუშა პასუხს არ დალოდებია, ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა და რკინის კარები ჭრიალით გააღო.

ის იყო, ჭიშკრის ზღურბლს გადააბიჯა, წინ ახალგაზრდა, მოხდენილი, წვეროსანი მამაკაცი შეეფეთა. გონზე მოსვლაც არ აცალა, გადაეხვია და გამხმარ ბეჭებზე სიყვარულით მოუთათუნა ხელი.

– ბოდიშს კი გიხდი, მაგრამ ვერ გიცანი, ბიძია. – დაბნეულმა წარმოთქვა ლეუშამ.

ახალგაზრდამ უკან დაიხია, თეთრ პერანგზე ხელი ჩამოისვა, მოკლე, შავი ჰალსტუხი შეისწორა და ბროლივით თეთრი კბილები გამოაჩინა.

– მართლა ვერ მიცანი? – შეყოვნება რომ შენიშნა, აღარ აწვალა დაბნეული კაცი და უთხრა, – ბიკენტიას შვილი ვარ, კოწია. ოხ, ბოდიში, კონსტანტინე, – წელში მოიდრიკა ახალგაზრდა.

ლეუშას გაეღიმა, ნაბიჯი გადმოდგა წინ და დაკვირვებით შეათვალიერა სახელიმილიანი ახალგაზრდა.

– რაღას გიცნობ, ბიძია? რამდენი წლის წასული ხარ, ყმაწვილი იყავი მაშინ და თუ ხანდახან ჩამოირბენდი, მოსული რომ არ იყავი, წასული იყავი უკვე. – ჩაუსხარტულა ტუჩების ცმაცუნით ლეუშამ, – ახლა კი წვერულვაშიანი ხარ, ჩემო ბატონო, ხმაც შეგცვლია, დამშვენებულხარ და დავაჟკაცებულხარ. რას გეიხარებს, ბიჭო, მამაშენი!

– ვინაა, კაცო, ჭიშკარში რომ ესაუბრები? შემოიყვანე შინ, მოვკვდი კაცი ცნობისმოყვარეობით – შემოუძახა გრიშამ და თვითონაც ჭიშკრისკენ წაფრატუნდა, მაგრამ სანამ ჭიშკართან მივიდოდა, ლეუშა კოწიას ეზოში შემოუძღვა.

გრიშამ სახე ხელით მოიჩრდილა და დაფანჩული წარბების ქვემოდან უცნობს შეაყოლა მზერა.

აბა, თუ იცნობ, „მაღარიჩი“ ჩემზეა.

კოწიამ ლეუშა მაღარიჩს გადაარჩინა, წინ წამოიწია, ხელები გაშალა და გრიშას გადაეხვია.

– კოწია ვარ, ბიძია, კოწია. – მერე დააზუსტა, – აგერ, შენ მეზობელ ბიკენტიასი.

მოხუცებს ძალიან გაუხარდათ თავიანთი კუთხის შვილის ნახვა, ამოუდგნენ აქეთ-იქით მხარში და ეზოს სიღრმისკენ გასწიეს.

– ჩამოჯექი, ბიძია, სუფრასთან. ჩვენ ორიოდე ჭიქა დავლიეთ. ნამგზავრი ხარ, პატარა ჩამოისვენე, წაიხემსე და დაილოცე.

კოწიას თავპატიჟი არ დაუდია, ჩამოჯდა.

– ნაუცბათევი სუფრაა და იმედია, არ დაგვძრახავ.

მოსვლა

– რას ბრძანებთ, გრიშა ბიძია, რამდენი ხანია, ცხელი მჭადი და ყველი არ მიჭამია. მომენატრა ყველაფერი ჩვენებური. კოწიამ ჭყინტი ყველი და მჭადი თეფშზე გადმოიღო. – მე მგონია, ასეთი სურნელოვანი და გემრიელი მჭადი და ყველი დედამიწის ზურგზე არ არის. ჭიშკართან ვიგრძენი სუნი. – მერე ღიმილით დააყოლა, – ნუ შემომედავებიან ახლა ამერიკელები და მექსიკელები. კი, იმათაც მოჰყავთ, კი ბატონო, იქედან შემოვიდა ჩვენთანაც, მაგრამ, როგორც წეღან ვთქვი, ასეთი გემრიელი ნურას უკაცრავად. როგორ იტყოდა ხოლმე სულგანათლებული გრიგოლი – გარემოს მჭადიაო, გარემოსიო. – შეუქო ნამოღვაწევი გლეხს. მერე ოხრახუშსაც მისწვდა, დაახვია, მარილში ჩააწო და პირისაკენ გაიქანა. წამიერად ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ თვითონ დაარღვია, –მიწა და კლიმატი გვაქვს მადლიანი, მართლაც ღვთივკურთხეული ქვეყანაა. შრომის კულტურაც დასაბამიდან ყოველთვის მაღალი გვქონდა და ამას აღნიშნავდნენ უცხოელი მოგზაურები თუ ისტორიკოსები. არა, არა, მშობლიური კუთხე მაინც სულ სხვაა! – ენას ვეღარ აჩერებდა აღტყინებული კოწია. – რა სიმშვიდეა, რა სიწყნარეა, კაცო, არ მოვითქვი სული!

გრიშამ ღვინო ჭიქებში ჩამოალიკლიკა და კოწიას მიმართა:

– დეილოცე, თუ კაცი ხარ და ჩვენც დაგვალევინე ორიოდე ჭიქა. ჩვენ შინაურები ვართ და სულ ერთი და იგივეს ვლაპარაკობთ. ყურს ახალი მოენატრა, იქნებ შენ გვითხრა რამე.

კოწია ფეხზე წამოდგა, ხელები მოიფშვნიტა, მარცხენა ხელის მტევანი ხელუკუღმა ტუჩზე მოისვა, მარჯვენათი ჭიქა ასწია და დაიწყო:

– რა გითხრათ, ბიძიებო, რა უნდა ვთქვა ახალი, – ღიმილი არ შორდებოდა სახიდან კოწიას, – ახლა ძირითადად შოკისმომგვრელ ინფორმაციებზეა გამალებული ტაციაობა. ყველაფერი სააშკარაოზეა გამოტანილი, ყველაფერი. არათუ საქვეყნოსახელმწიფო საიდუმლოებებია დაუცველი, არამედ პირადიც. საწოლში უძვრებიან ერთმანეთს კამერებით. ინფორმაციის მოპოვებისათვის ყველა დაუზარებლად იღწვის, განსაკუთრებით ჟურნალისტები და პარტიები. პარტიები კი ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლდნენ. გაგიგია, კაცო, ამ ცეროდენა ქვეყანაში ორასი პარტიაა! საქვეყნო საქმისათვის რომ იღწვოდნენ, მაგას რა აჯობებდა, მაგრამ, არა! პირადი კეთილდღეობისთვის რომ უნდათ ხელისუფლებაში შეძრომა, ეგაა გულსაკლავი. ათას სისულელეს ჰპირდებიან ხალხს და როცა მოკალათდებიან ზემოთ, ხალხიც ავიწყდებათ და ქვეყანაც. მდიდარი უფრო მეტი სიმდიდრისათვის იღწვის, უქონელი კი იმას ცდილობს, როგორმე იმ მდიდარს დაეწიოს. ქვეყანა კი, ვიღაც უხილავის ხელით, კაცმა არ იცის, საიდან იმართება. მოკლედ, ასეთი სიტუაციაა. ჩემგან რა გესწავლებათ, თქვენც კარგად ხვდებით. – დაამთავრა კოწიამ და ჩამოჯდა.

– მაგის შესახებ, ასე თუ ისე, ჩვენც გაგვიგია, ბიძია. შენ ის მითხარი, სადღეგრძელო რომელი იყო შენი ნათქვამიდან? – თავი ასწია გრიშამ და დაფანჩული წარბები მაღლა აზიდა.

– ეჰ, მეცა ვარ, რა! – ფეხზე წამოვარდა წამოწითლებული კოწია. ისევ მიტინგზე მგონია თავი. მომიტევეთ, ჩემო კეთილო ხალხო. მომიტევეთ, მომიტევეთ! – ჩაახველა და განაგრძო, – მართალი ბრძანდებით, სუფრას თავისი წესი აქვს, რამდენი კაციც არ უნდა იჯდეს მაგიდასთან. რა თქმა უნდა, თქვენც იტყოდით, თქვენსავით კარგად შეიძლება ვერ ვთქვა, მაგრამ, როგორც მოვახერხებ, ისევ ვიტყვი, – კრძალვა შეერია ხმაში კოწიას. – აქ არ ვიცი როგორ, მაგრამ, დღესდღეობით, იქ, ჩვენთან, – ხაზი გაუსვა, – ჩვენთან, პირველ სადღეგრძელოდ უფლის სადღეგრძელო ითვლება, ყველა ამას ამბობს.

– თქმით კი ამბობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭეშმარიტი მიმდევარი თითზეა ჩამოსათვლელი. – ჩაეჭრა ლეუშა და თვალებში შეაცქერდა.

– ფეხზე წამოვუდგეთ, მეგობრებო, მამაზეციერს და შენდობა ვთხოვოთ. ეს მოჩვენებითობაა რომ ღუპავს ქვეყანას, ჩემო კარგებო. – თავი გადაიქნია კოწიამ და ნათქვამის დასადასტურებლად ლეუშას გადახედა.

მოხუცები სახსრების ტკაცუნით წამოიშალნენ და ერთხმად შესვეს. მერე ჩამოსხდნენ და პატარაც წაილუკმეს. ლეუშას ლუკმა ბოლომდე გადაყლაპული არ ჰქონდა, რომ წამოიწყო:

– ჩემს ახალგაზრდობაში მორწმუნე კაცი ღმერთს ჩუმად და კრძალვით ახსენებდა. სიფრთხილე იყო საჭირო, თუ გაგიგებდნენ, ციმბირს უკან დაგატოვებინებდნენ. მაგრამ ხომ გაგიგონია, ჭკვიანი კაცი გამოსავალს ყოველთვის ნახავსო, ღმერთი ბუნების ძალით ჩაანაცვლეს, – ბუნების ძალას გაუმარჯოსო, ასე მალულად, შენიღბულად ამბობდნენ მის სადღეგრძელოს, დეილოცოს მისი სახელი.

– ხო, ეგ ერთი და იგივეა. – თქვა თავის კანტურით გრიშამ.

– რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა. – დაუდასტურა ლეუშამ.

– დღეს კი, ვინ გიშლის, ილოცე რამდენიც გინდა, მაგრამ მარტო ლოცვა რას შველის, თუ საქმეც არ მიაყოლე. – თქვა გრიშამ, – საქმე წაღმართიანი უნდა იყოს და არა იმნაირი, როგორც კოწიამ თქვა.

– შენ რას საქმიანობ, ბიკენტიას ყმაწვილო, შენ? – პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა ლეუშამ.

ფეხზე წამოიმართა კოწია.

– დაჯექი, თუ კაცი ხარ, მართლა მიტინგზე ხომ არ გგონია შენი თავი? – ღიმილით მიმართა გრიშამ.

– ისე მივეჩვიე ფეხზე დგომას და საუბარს, დამჯდარი თავს ვერ ვუყრი სიტყვებს. – წუხილი გაუკრთა ხმაში კოწიას.

– დაჯექი, დაჯექი-მეთქი, უცხოებთან ხომ არ ხარ, შინაურები ვართ. –დაუყვავა გრიშამ, – შენიანებთან ხარ, ახლა.

– საქმეზე მეკითხებოდით.

– ჰო, საქმეზე. – შეთანხმებულივით ერთად წარმოთქვეს მოხუცებმა და მხრების შმუშვნით მოსასმენად მოემზადნენ.

– აბა, რა გითხრათ, ბიძიებო, – წამოიწყო დინჯად კოწიამ და წვერ-ულვაშზე ჩამოისვა ხელი. – საქმეა მთავარი, საქმე, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ბიძია გრიშა. საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, – ხმას აუწია კოწიამ და მოხუცებს შეავლო მზერა. – დღეს თუ საქმე გაქვს, კაცი ხარ ქვეყანაზე, პატივისცემითაც გეპყრობიან. უსაქმურ კაცს ძაღლადაც არავინ აგდებს. საქმე, იგივე ბიზნესი, ისეთი დრო დადგა, ყველანაირი ბიზნესი გამართლებულია და არც არავინ აქცევს ყურადღებას მის მორალურ-ზნეობრივ ასპექტებს. და არ გაგიკვირდეთ, მეგობრებო, – წარბები მაღლა აზიდა, შუბლი შეჭმუხნა კოწიამ და ბრძენკაცივით დასძინა, – დღეს ყველაზე მომგებიანი ბიზნესი პოლიტიკაა.

– ჰო, პოლიტიკა. – მერე წამიერად გაირინდა, ოცნებაში გადავარდნილივით ხან შორეთს გახედავდა, ხან მოხუცებს, ხან თავზე გადმომხობილ ვაშლის ხეს და პათეტიკანარევი ხმით აგრძელებდა, – ჰო, პოლიტიკა, როგორც ამბობენ, ყველაზე ბინძური, მაგრამ ყველაზე მომგებიანია დღეს. მოგეხსენებათ, პოლიტიკა ეს არი ლაპარაკისა და ქმედებების ხელოვნება. ლაპარაკი, გაგიხარია, გვეხერხება, მაგრამ საქმისა რა მოგახსენოთ.

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ჩემო მეგობრებო, ვიმეორებ, პოლიტიკა დღეს ლაპარაკის ხელოვნებად იქცა-მეთქი. წეღან ვთქვი, საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, მაგრამ არც სიტყვა უნდა დაგვავიწყდეს, ჯერ ხომ სიტყვა იყო. ჩემგან რა გესწავლებათ, – ლმობიერად, წყალობანარევი ღიმილით გადახედა მოხუცებს ორატორმა. – ლაპარაკი დიდ და მომგებიან ბიზნესად იქცა. ოღონდ საჭირო დროს უნდა მოხვდე საჭირო ადგილას და მერე შენს მარიფათზეა დამოკიდებული ყველაფერი. ზოგმა შეიძლება იფიქროს, ეს რა ადვილი საქმე ყოფილაო, მაგრამ მთლად ეგრეც არ არის. ვითომ ლაპარაკობ ყველაფერზე და, ამავე დროს, არაფერზე, დამაბნეველად – დაპირდი, დაპირდი და დაპირდი. სიტყვით გამოსვლა უნდა იყოს მიმზიდველი და აღტაცების მომგვრელი. უნდა მონუსხო მასა, განსწავლულობის ნიშნად კი წინადადებებში ხშირად უნდა გამოურიო ხოლმე უცხოური სიტყვებიც. ხომ იცით, როგორ აღტკინებას განიცდიან ჩვენები ყოველივე უცხოურის მიმართ. სიტყვა უნდა იყოს შთამბეჭდავი და დიდი „დალაიქება“ ექნება და ეს ისე უნდა მოახერხო, რომ საზოგადოებამ „დააშეაროს“. უნდა შეეხო ყველაზე მტკივნეულს. იტყვით ახლა თქვენ, ალბათ, სამშობლოსო. არა, ბატონებო, – სამშობლო დღეს თავჩაქინდრულია მისი უძღები შვილების გამო. ვიღას ახსოვს, რაღაც განყენებულ ცნებად იქცა და მხოლოდ სუფრაზე თუ გაახსენდებათ, მაგრამ, ხანდახან, შეფარვით, აქაც უნდა გამოურიო, ესეც საჭიროა. ყველაზე მთავარს, საჭირბოროტოსა და მტკივნეულს უნდა მიაქციო ყურადღება და, რა არის ყველაზე მთავარი? – შეყოვნდა პატარა ხანს კოწია, თითქოს მათგან ელოდა პასუხს. დუმილი რომ გაიწელა, თავი მაღლა ასწია, მზერით ჩამოუარა სუფრის წევრებს და ეჭვშეუვალი სიმტკიცით თქვა, – საყოველთაო კეთილდღეობის დაპირება, ჩემო ბატონებო, აი, ისეთი, დაახლოებით, კომუნიზმის მაგვარი. და რა შედის ამ გაცვეთილ საყოველთაო კეთილდღეობაში, რომელიც არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება?! მოკლედ რომ ვთქვათ, მატერიალური კეთილდღეობა, ჩვენს ენაზე – სმა-ჭამა დიდად შესარგი, ჩაცმა და დახურვა და ეს ასე იქნება მანამ, სანამ უსტომაქო კაცს არ შექმნიან. გარდა ამისა, უნდა დაპირდე „სეილებს“ გაზზე, ელექტროენერგიაზე, ბენზინზე და სხვა ათას წვრილმანზე. – კოწიამ თვალი ისევ შორეთს მიაპყრო და დამაშვრალივით დადუმდა.

ჰორიზონტი იწვოდა, ყველა სულდგმულს საჩრდილობლისთვის შეეფარებინა თავი. მხოლოდ ჭრიჭინობელები გაბზარული ხმით ხანდისხან თუ შეეხმიანებოდნენ გარემოს. ორატორმა ჭიქაში ჩარჩენილი ღვინო მოწრუპა, შუბლი მოიწმინდა, მოჭერილი ჰალსტუხისაგან თავი გაინთავისუფლა, იქვე სკამზე გადაკიდა და ნეტარებით ამოისუნთქა. ბერიკაცებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. შვებამოგვრილმა კოწიამ კი რიხიანად განაგრძო:

– ეს საკითხი ძალიან „სენსიტიურია“. ამ საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია „კრედიბილური“ და „კონსისტენტური“ ხალხი. ხალხის „კონსისტენცია“ უნდა იყოს „კრეატიული“ და „სმაილიანი“. ამასთან ერთად კიდევ საჭიროა „ექსტრა“ თანამოზიარენი. „ვიზიტორებიც“ არ უნდა დაგვავიწყდეს. მოგეხსენებათ, ჩვენ, ქართველებმა, როგორი დახვედრა ვიცით. გაუთავებელი ქეიფებისა და დროსტარების შემდეგ „ვიზიტორს“ „რელაქსაციაც“ ჭირდება, რომ „ლეტალურ“ შედეგამდე არ მივიყვანოთ. „ვიზიტორთან“ ურთიერთობა რომ არ გამოვიდეს „ფეიკიური“, ამისათვის სათანადო „სუპერვაიზერი“ გვჭირდება, რომ „ივენთებზე“ არ შევრცხვეთ. არსებობს საამისო „რელევანტური მანუალი“, მაგრამ ეს სახელმძღვანელო წინასწარ უნდა „დავტესტოთ“, რომ საჭირო „კორექცია“ შევიტანოთ და ,,იმიჯი“ არ დავკარგოთ. „მესიჯი“ უნდა გავუგზავნოთ ჩვენს „სტაფებს“, რათა ჩვენი საქმის უცხოელი „ფოლოუერის“ სათანადო „ოფცია“ და „ქასთინგი“ მოაწყონ... – და გაუტია და გაუტია კოწიამ...

მოხუცები პირდაფჩენილნი და მონუსხულებივით შესცქეროდნენ ორატორს. მერე, როდის-როდის, ბურანიდან ახლად გამოსულივით – ლეუშამ ხელი მაღლა ასწია, ორატორს ანიშნა, შეჩერებულიყო, გრიშასკენ მოაბრუნა თავი და გაკვირვებული სახით ჰკითხა:

– გაიგე რამე, გრიშა?!

გრიშამ მხრები აიწურა, თავი გადაიქნია და ხელები გაასავსავა.

– შენ თუ მაინც გესმის შენი ნათქვამი? – ახლა კოწიას მიუბრუნდა ლეუშა და საბრალობლად გადახედა.

– აი, მაგაშია სწორედ საქმე, ეგ არის მთავარი ხიბლი. ვინ იტყვის, ვერ გავიგეო? ამპარტავნობა და კუდაბზიკობა მედალივით ჰკიდია ბევრ ჩვენს თანამემამულეს. ის კი არა, ბევრი იტყვის, რა განსწავლული და მომზადებული ახალგაზრდაა. რაც შემეხება მე, ინგლისურს ვსწავლობ და ყველაფერი მესმის. მის გარეშე დღეს ბევრს ვერაფერს მიაღწევ, მითუმეტეს, პოლიტიკოსი. რას იზამ, ისტორიის ბედუკუღმართობის გამო, ჩვენი წინაპრები ხან არაბულს სწავლობდნენ, ხან სპარსულს, ხან თურქულს და ხან რუსულს. დღეს ინგლისურის ჯერია, ხვალ შეიძლება ჩინურის სწავლამაც მოგვიწიოს. მოკლედ, ასეთია მდგომარეობა, ჩემო კარგებო.

– შენ რას საქმიანობ, შენ, ბოლოს და ბოლოს არ გვეტყვი?

– კიდევ ვერ მიხვდით, ხალხო?! – ღიმილმა გაუპო სახე კოწიას. ეჰ, ამოიხვნეშა და დააყოლა, – აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს. – მერე თითქოს აზროვნების ერთი საფეხურით დაბლა დაიწია და მიწაზე დაეშვა, – რა დააჭირა, კაცოო! ჩრდილიც კი აღარ შველის, ჩრდილიც. – სიცხისაგან შეწუხებულმა სახე მოინიავა, ფეხზე წამოდგა და მოხუცებს მიუბრუნდა, – დაგტოვებთ ახლა, ძალიან გამეხარდა თქვენი ნახვა, კარგია თქვენთან საუბარი, მაგრამ მცირე ხნით ვარ ჩამოსული, დროს ვეშურები. გადავალ, სახლში შევირბენ და ჩემიანებსაც მოვესიყვარულები. ღმერთმა დიდხანს და ჯანმრთელად მიმყოფოს თქვენი თავი! – ჭიქაში ღვინო ჩამოასხა, ასწია და მწყურვალივით დაეწაფა...

ლეუშა და გრიშა კარგახანს დუმდნენ.

– ვაი, საწყალო ბიკენტია! – თქვა გრიშამ.

– ვაი, საწყალო ჩემო ქვეყანა, თუ მართლა ასეა საქმე! – უპასუხა ლეუშამ და გაღმა გორისკენ გაიხედა. დასიცხული პირუტყვი ფერდობზე თავქვე მიწოლილიყო. – მგონი დამეხრჩო მარჩენალი. – წამოვარდა ფეხზე ლეუშა და აჩქარებული ნაბიჯით ჭიშკრისკენ გაემართა. – ხო, არ დაგვავიწყდეს, – თითქოს თავისთვის ჩაიდუდუნა, – საღამოს იქ ვართ გადასასვლელი. გეყურება, კაცო?!

– მეყურება, მეყურება, გადავიდეთ შებინდებისას. – უპასუხა გრიშამ, – აკი ვამბობდი, მეორედ მოსვლაა-მეთქი, – ჩაილაპარაკა ყოფილმა პედაგოგმა და ნაამბობით გაბრუებულმა მაგიდის ალაგება დაიწყო.

ჰაერანი სიკვდილთან

ტერენტი გრანელი



ნახ. ავტორისა

რეზო ადამია

(გაგრძელება, დასაწყისი წინა ნომერში)

თანამემამულეებმა – ხელისუფლებამ – გამწირეს და არ დამინდეს, იმედად მხოლოდ სიკვდილი, საფლავები და ვარსკვლავეთი დამრჩენია...

მიცვალებულის გასვენებისას სულდამძიმებული გრანელი უთუოდ ასე იტყოდა: ყოველივე, ვარსკვლავთ ტეხილხაზოვანი სხივთ გადაჭრა და გონმიუწვდომელი, პლანეტარული მრავალმხრივი იდუმალი გარდასახვები. თავად აქედან გამსვლელს ხომ ბნელკოსმიური უმძიმესი საიდუმლოებით, უკლებლივ ყოველ საფლავთ ფიქრ-დარდი-სევდა მიმყვება. მუდამ მათი მომფერებელი რომ ვიყავი, თავად ცხოვრება-სიცოცხლისაგან გაუბედურებულ-გარიყული: მხოლოდ პოეზია და მუზა მიამედებდა...

ამ საშინელების აღწერისას, – ღამე დაძაბულს, მძიმე ფიქრ-აზრებმა მძლია, მერმე უხილავ მოვლენებისაგან დაღლილმა სხეულმა ამოიკვნესა და მწარედ ამომდიოდა გულმკერდისმიერად უცხო ურვა-ნაღველი, სევდა, რაც სულისმპყრობელ ბნელეთურ დეპრესიას მაახლოებდა და უმძიმესი წარსულის მოგონებები მოსვენებას არ მაძლევდა. თუ როგორ ტანჯავდა მგოსან გრანელს, ნამდვილი გიჟებისა და უღვთო ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, წარმოიდგინეთ, – მთელი დღეები და ღამეები, პოეტის გვერდით ტრიალებდნენ და უაზროდ დაბოდიალობდნენ, ჭირვეულობდნენ, წიოდნენ, კიოდნენ, მერე უცებ გაიტრუნებოდნენ და ვით მოაზროვნეები, თვალებს არ გაშორებენ, შემდგომ ისევ უნებლიე მოძრაობები და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. საბოლოოდ არასწორი მკურნალობით და წამლებით გაანადგურეს და მოსპეს იშვიათი გრძნობისა და ნიჭის მგოსანი. წარმოიდგინეთ, ამჟამადაც, ბოროტსულელური ზნეობიანნი საფლავშიაც არ აყენებენ განწირულ და ბუნებით შეწირულ პოეტს. კიდევ კარგი, რომ მისი პოეზიის მწვერვალებს ვერასოდეს ვერ მისწვდებიან, მაგრამ მადლობა გამჩენის ბედს, რომ ცოტანი არიან მაგ დონის უსამართლონი...

ტერენტი გრანელმა სულიერ საიდუმლოებასთან ერთად ბევრი რამე იდუმალ-მნიშვნელოვანი ხომ არ გაიყოლია ზეცაში, რათა მრავალი მიწიერნი, მათგან პოეტნიც რომ ვერ უგებენ? თუ ასეა, ძალიან სამწუხაროა.

მიწა სიცოცხლეა, უსასრულო, რჩეულთაგან სიწმინდის მფლობელი, რომელიც განსხვავებულია სამყაროში უკლებლივ ყველაფრისაგან. კოსმოსში ცეცხლი, სიცხე, გამყინვარება, სიკვდილი, უთვალავი ჯადო-სხივების რენტგენულ გამონათებათა ორომტრიალია. ამ ჯოჯოხეთის მიერ ქარბორბალაში სული უნაზესი, უნატიფესი, როგორ ძლებს, მიკვირს. ანდა, სიგრძე-სიგანეზე სწრაფვით და გაშმაგებული მოძრაობით, თავსაფარს სად პოულობს, ეშმაკეულად სავსე სივრცეში. შესაძლებელია დედამიწის ირგვლივ, ჰაეროვან გარსში იყოს მისი სამყოფელი, მარადიულობა, მზის მფარველობით, ანუ, ორივე განზომილებაში მყოფი კეთილთვისობრივ შესაძლებლობათა ძალისხმევით.

მილიონობით წელთა განმავლობაში, უთვალავი ცოცხალ არსებათ-გარდაცვლილთა სასაფლაოა მიწა-მზრუნველი. ასე გამოდის – მუდმივი სიცოცხლის უზარმაზარი წყაროა, უფრო საფლავებიდან აღმოცენებული. გარდაცვლილთ სამყოფელი უმიწოდ არ არსებობენ და ჩვენი პლანეტა მიცვალებულთა საფლავების მეოხებით რომ არა, თავადვე ხომ გამოიფიტებოდა და მოკვდებოდა, მხოლოდ მზისა და დედამიწის გულის ცხელი ლავის მხურვალების ამარა დარჩებოდა. უთვალავია სამყაროში ცხელი სხეულები და დედამიწაც მათ მიეთვლებოდა... უთუოდ სიცოცხლის მერმე სიკვდილიც უსასრულო ფუნქციებისაა...

ისედაც წამებული ტერენტი გრანელი კოსმიურ მიუწვდომელ შავ ფენომენს აუცილებლად უნდა შეხვდეს ამ ღამეს, რომელიც იქვე ტანჯვა, ვაების, ურვა, სიმწრის უკიდურეს განწყობილებიდან, გზა გაქრობით მომავლის ახალ განზომილებაში გადასვლაა, რაც, თავისთავად, ვარსკვლავეთის სახით მატერიალურ-ფიზიკურ სხეულებთან ურთიერთობანიც გახლავთ. აბა, მეგობრებო! როგორც ყველა ჩვენგანს ტყუილად ელოდება? ია-ია-მოცისფრო ულამაზესი პირადი ვარსკვლავი ზემგრძნობელობის მგოსანს! უზარმაზარი კოსმიური ინსტინქტით მოაზროვნეს ყოველივე ზემოთ აღწერილი, ქვეცნობიერად თუ შეგნებით მჭიდროდ აკავშირებდა სევდაში მოცურავე განმარტოებულ უთვალავ საფლავებს...

ლუვრის ანტიკური ქანდაკების დარბაზში ერთხელ უცნაური აზრები დამეუფლა, ქანდაკებები და ფერწერული სურათ-პორტრეტები სულშერჩენილი საფლავები ხომ არაა? აბა, რატომ სდუმან მუდმივად? ხელოვნების მშვენიერების უსასრულო სახება რომ არა, მაგ ფიქრებს შევრჩებოდი...

გრანელი უსათუოდ იტყოდა, – შენ, ჩემო უნახავ-უხილავო და შორეულო მეგობარო, საფლავ-სიმბოლო ხარ, მიუწვდომლობის, მიწა – სიცოცხლე ბრძანდები, დიდი ხანია შენგან პირადი ინდივიდი გაქრა. მაგრამ მე, უხილავთან გვერდით მყოფს, ერთი აზრი დამტრიალებს, – საერთოში ჩვენთან ხარ თუ უფრო ვარსკვლავეთში? ხშირად, აგრეც მიფიქრია, მხოლოდ ჩვენს მეხსიერებაში ხომ არ ბინადრობ? დანარჩენი ძალიან შორეული რაობაა, უთუოდ ცივო, შეუხებელო და მიუვალო ფიქრო, მხოლოდ ჩემგან გამთბარო: ხშირად ჩემს დაუწერელ სევდიან ლექსს მაგონებ. მე მჯერა, ჩემი გალაკტიონიც ასე იტყოდა, – მარად უხილავო და უსახო მარტოობავ, უკვე მართლაც სრულიად გამქრალად ხომ არ გიგულოთ? ალბათ, არა! მაინტერესებს, შენთან ანგელოზები თუ ურთიერთობენ. შეიძლება ჩემს მდგომარეობაში ბრძანდები, მიუვალ-მარტოსულო. გუშინ, ქუჩიდან, საამო-სევდის მომგვრელად ლუდვიგ ბეთჰოვენის სიმფონიას – `მთვარის სონატას~ ვუსმენდი, ალბათ, მშვენიერი გოგო უკრავდა, უთუოდ მდიდარი ოჯახის შვილი. რატომღაც გავიფიქრე, შენც თუ უსმენდი მას და, თუ ყველაფერი, ალბათ, გესმოდა, მე რომ მგონიხარ, ისეთი თუ ხარ! კოჯორში, პატრიოტები რომ დახოცეს მომხდურმა რუსებმა, ქართველების წინამძღოლობით თუ იგრძენი თავი? არ მეეჭვება, რომ მწარედ გაიზიარე დიდი უბედურება. მაშინ, მე, ტყუილუბრალოდ არ დავდივარ შენთან და მთელი არსებითაც რომ ვურთიერთობ. უსასრულო ვარსკვლავეთი იყოს შენთან და მათი შუქი გათბობდეს, ჩემო მიუწვდომელო, მეხსიერების, ოცნების, ფიქრის, გამოცანის, უძირო სევდის და, დაწერილ-დაუწერელ ლექსთ მეგობარო!.. და ცრემლებშემშრალი მგოსანი, თითქმის გაყინული თითებით, საფლავის ქვას მოეფერა...

მერმე, ტერენტიმ ახედა სევდით აცახცახებულ ვარსკვლავებს და მისუსტებული, მეოცნებე, ხმით ჩაილაპარაკა: ისინი ხომ არასოდეს კვდებიან. – ცდები პოეტო! – უმალ მოესმა მოულოდნელი არა სივრცის ხმა, ყველასაგან ბევრად უფრო განსხვავებული, ქვეყნიერებაში მყოფი და უცხო; ვარსკვლავები, ანუ მათგან უფრო ბევრი მზეებიც თავის დროზე კვდებიან ასე, დამიჯერე უკვე ჩემო! აგერ, მაგალითი – მთვარე; თქვენი ოცნების და პოეზიის წყარო – სიმშვიდე, რამდენიმე მილიონი თუ მილიარდი წელია, მკვდარია. აგრეთვე, ვენერა, მარსი, იუპიტერი და მრავალი: მოვა უშორესი დრო, მთვარეც უფრო გამოიფიტება, სივრცეში დაიფშვნება ის და გაქრება, ანუ შეუერთდება სამყაროს უსასრულობას. თქვენ, ყველა ადამიანიც, მაგრე ხართ: ზოგიერთი მიწის მშრალი ლანდშაფტი, ასეულობით წლებს ინახავს მიცვალებულთა ჩონჩხებს, ძვლებს, მერმე, თავის დროზე, სრულიად იქცევა მიწად. ამდაგვარია კოსმიური ქვეყნიერების საოცარი პროცესი.

ზედმეტად გამწარებული მგოსანი სიკვდილს ეკითხება: შენ? შენ როდისღა მოკვდები?! – მე, ალბათ, არასოდეს. სანამ სიცოცხლე იარსებებს, იქ, ადგილზე უნდა ვიყო. ხოლო თუ ის გაქრება, მაშინ მეც ჩავქრები და, მერმე, რა იქნება, ეს უკვე ბნელეთია ჩემთვის. ის თქვენთვის შეუსწავლელი ფილოსოფიაა და ვინ გასცემს მასზე პასუხს, გაურკვეველია.

– მე არ ვიცი, სიკვდილო! შენ მართლა ჩემი პატრონი ხარ თუ?! მაგას უფრო ღრმად მიხვდები რამდენიმე ასეული წლის მერმე; შეიძლება ზეობაში ყოფნისას, შედარებით ადრეც. ეხლა რომ გითხრა სამყაროსეული სიმართლე, ბოლომდე მაინც ვერ ჩასწვდები, პოეტო! რათა თქვენეული – მიწიერი სიცოცხლის სწავლებით სულ სხვა წარმოდგენები გადმოგცეს და...

ისევ უსაზღვრო სიჩუმე ჩადგა და იდუმალებათა დიდი სივრცე უფრო ფართოვდებოდა. მთავარი ბნელეთური არ ჩქარობდა, ის თანდათანობით აზრშეპარვით საუბრობდა და ბჭობდა თავის შესანიშნავ მსხვერპლთან, რომელთა ხმები მათ ირგვლივ ჯადოსმიერად სივრცეშივე ინთქმებოდა, მხოლოდ უხილავი, უცხო ხაზების ხვეულები, არეული ფარფატით, ზანტად და ჰარმონიულად მიმდიოდნენ; თითქოსდა, პირველად ალაპარაკდა სიკვდილი, მისგან უჩვეულოდ...

ბნელმა, ყოვლისშემძლემ, მდორედ გააგრძელა საუბარი: – მსხვერპლო! მკვდარი პლანეტები, დროთა ჟამში, მეტეორებად დაიშლებიან. სამყაროს, ანუ თავის გალაქტიკის მთლიან შემადგენლობაში გადანაწილდებიან და სრულიად სხვა ფუნქციებში ჩაერთვებიან. შეიძლება არა ორგანულ ცხოვრებად, მაგრამ ცეცხლოვან პლანეტებს შეუერთდებიან და ეს უკვე კოსმიური, მარადიული, გარდამავლობითი თავისებური სიცოცხლეა; ახლად დაბადებიდან გამომდინარე, ამდაგვარი მშობიარობის პრინციპებიცაა ქვეყნიერების ურთულეს სისტემაში, ანუ კანონ-წესრიგში... თურმე, სიკვდილს, თავისებური აზრებიც გააჩნია, მაგრამ მე მას ვერაფრით ვერ ვარწმუნებ და ვერაფერსაც ვერ გადავაფიქრებინებ...

მერმე, გრანელი, თავისთვის უფრო გადაერთო და, მეც მიფიქრია ბევრჯერ, – მზე, მთვარე და ვარსკვლავეთთან ეს ყველაფერი როგორ ურთიერთობს, ჩვენში რომელია მათთან უფრო ახლოს, ვერ გავრკვეულვარ.

გუშინწინ, საღამო გველთან დიალოგში გავატარე, ჩემმა მტკივნეულმა აზრებმა მონუსხა და ლამის მინისქვეშა სოროში გადაავიწყდა ჩასვლა.

მარადიული უცხო სივრცობრიობაა მათი უსაზღვრო არსება და სრულიად განსხვავებული, შეუვალი მთლიანობა, სიცოცხლისეულ და უხილავ სამყაროზე უფრო; საკვირველია, მაგრამ, მგონი, ასეა...

ამ ნაწარმოების ავტორსაც აგრე უმსჯელია, ბოროტება ბევრად მეტია ჩვენს ირგვლივ. იმიტომაცაა ცხოვრება მეტად მძიმე და შემტევი, ბუნების სიმკაცრეს ჭარბად ემატება ეს საშინელი უღვთოობაც, რითაც მკაცრ მოქმედ რიგშია მიუდგომელი დრო, სივრცე, სტიქია, სიბერე, ავადმყოფობები, უბედური შემთხვევები, უზნეობანი, ბრძოლა ურთულესი არსებობისათვის, ფიქრი მომავალ საშიშროებაზე. ბედის მრავალმხრივობა უახლოესი თუ მეგობარი ადამიანების სამუდამო განშორებაა. უძლიერესი და უწყვეტი კოსმოსური წნეხი, უაზრო თუ მიზეზობრივი უიმედობები, რასაც დიდი სევდა მოსდევს, ზოგჯერ დეპრესიებიც და კიდევ მრავალი სხვადასხვა ტკივილიანი შემოტევები, ყოველთა განურჩევლად. ამდაგვარ გარემოებაში გვიხდება ცხოვრება. შემოქმედებითი ნიჭი, თვით რწმენა, პერიოდული სიამოვნებები, გატაცებები, მიღწევები, მრავალმხრივი შრომა, სიყვარული და ყოველდღიურ-წუთიერი იმედ-ნატვრა რომ არა, ნებისმიერნი, თვითმკვლელობების მსხვერპლნი იქნებოდნენ, სადაც სიკვდილს უფრო გააბოროტებდნენ და მრავალ უადგილო, შავი ფუნქციების შესრულებას შესთავაზებდნენ, მაგრამ მათ საპირისპიროდ გახლავთ უტყუარი, შინაგანი დადებითი ფსიქო-ნერვიული აზროვნებითი დაცვა, პიროვნული გამძლეობის სიკეთის სახით, რომელიც ხშირად გმირობის ტოლფასია. მზე, მთვარე და ვარსკვლავების გავლენა უდიდეს მაცოცხლებელ როლს თამაშობს ყოველთა მიმართ, ზედამნათნი ხომ ძლიერმოქმედი, ანთებული უხვობაა, უთვალავი ფერ-განწყობილებით. გამძლეობასთან ერთად შეწირულებმაც მათ თანდაყოლილი პრინციპულობით ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, და შინაგანი სიმშვიდე უდიდეს როლს თამაშობს ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში.

ტერენტი გრანელი, უმეტეს სიკვდილთან, ყოველი ჩვენგანისათვის სულის და ნერვიული განწყობილების მდგრადი ხატული ღია სახეა.

დიდი გალაკტიონი, ძლიერ ზემსწრაფი, განყენებული გენიაა, რომელიც პოეზიის მარმარილოს წმიდა ამბიონზე დგას და მეფურ პოეზიას ქადაგებს:

გენიოსი წარსულის სინდისია და მომავლის ტვინი~. – ანატოლ ფრანსი.

უჩრდილო გრანელი კი, პოეტურ სივრცობრივი რაობის ურღვევი სევდიანი ნაწილია. თუმცა პლანეტარიუმის პოეტი ბრძანდება, მაგრამ ძალიან ჩვენეულია და შიდა თავისუფალი განცდაა.

ხოლო გალაკტიონ ტაბიძე შორეული ცისფერი სიმაღლეა, რომელმაც თავად ავტორიც დააბნია...

ორთავე მგოსანი მისტიკურ-ვარსკვლავეთურია... თუმცა ჩაუქრობელი სანთელი – გრანელი თითქოსდა მიწიდან ატყორცნილი, ალმოდებული მეტეორია და ზეციური გაღიზიანებაა. ყოვლად განმარტოებულ მგოსანს, სიამაყე მდიდრულად გააჩნდა ასევე თვითმყოფადი მისტიკურ-კოსმოგენური ფილოსოფია, რომელიც პოეზიაში მხოლოდ გამორჩეული ლექსით ხმიანდებოდა. საერთოდ, ყველაფერთან ერთად უკიდურესად გარდაქმნილი მანკიერი საზოგადოების დაუნდობელი შეტევებით შფოთავდა, ირგვლივი უკეთური ქმედებებისგან შიშველი მგოსანი ზეციდან მოვლენილი უშუალოდ ნაკურთხი წმიდანი გახლდათ. მაინც დაუნდობლად აწამა და გაწირა მიმდინარე დროის უსაშინლესმა რეჟიმმა. სულს უხუთავდა ერის დამპყრობელთა ბინძურჟანგიანი ბორკილები, მათგან აშენებული ხელოვნებისადმი ჩაბნელებული საპყრობილე და მშვენიერების განადგურება, ნიჭის ჩახშობა – გამორჩეული სახითვე და მოკვლა.

გრანელს, ზეციურად უყვარდა და მაცხოვრისეულ სიკეთეს ფლობდა. უშიშარი იყო ვით წმიდანი რაინდი და თავდადებული... ამჟამად თბილ ლოგინში ჩათბუნებულები, ქარვასლების გარემოცვაში მყოფნი, ვერ იტანენ კოსმიურ მწირს. დიდი პოეტის შეწირული იმქვეყნიური ფერისაც შურთ. თუმცა გრანელობასაც არ ნატრულობენ, რათა ძალიან კარგად იციან, რომ უმძიმესი ტვირთია და, ფაქტიურად, ჯვარზე გაკვრაა.

ტერენტი გრანელის, გონდაცემულმა და გადაბირებულმა თანამედროვეებმა, საუბედუროდ, ბნელეთურად ქართული და მსოფლიო პოეზიაში მისტიკური განწყობილების სრულიად თვითმყოფადი სიახლე-შედევრები გაანადგურეს, დაწვეს და მრავალი ლექს-ქმნილებანი დამარხეს, ნაწილი კი ველურ სტიქიას მიუგდეს. უბოროტესი ქმედება მაშინდელი – მართლაც საცოდავი საზოგადოებისა, წარმოუდგენელი ეშმაკეული დანაშაულია კაცობრიობის და ქვეყნიერების წინაშე: იმ ურთულესსა და გაურკვეველ წლებში ქვეყნის უმთავრეს მიზეზად ძლიერმოქმედი და უიშვიათესი ვარსკვლავეთური ენერგიის გადმოღვრა გახლავთ, დედამიწაზე უიშვიათესი კოსმოსურ სხივთა სტიქიური ბობოქრობაა: მაგ სახის ციურ შუქთა უმწვავეს მოძრაობებს, უთუოდ ვერ გაუძლო ტერენტი გრანელმა, გალაკტიონ ტაბიძემ, და უფრო, მათ ირგვლივ მყოფმა ხალხმა (მათზე, ზევით უკვე გესაუბრეთ). ჩვენგან შორეულში ამდაგვარ პლანეტარულმა მოვლენამ დაფერფლა ვან გოგი, აინშტაინი, რენუარი, სეზანი, მოდილიანი, საქართველოში ზეციდან დაშვებული ფიროსმანი, ბუნების გულღია ფილოსოფიური პროზა, პოეზია: ვაჟა-ფშაველა, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი. ერთ დროს აალებულ, დაუოკებელ სფეროდ აქცია შუა საუკუნეებში მიქელანჯელოც. მაცხოვარივით ეწამა ლეონარდო და ვინჩი. ვერ გაუძლო რაფაელმა და ოცდაჩვიდმეტი ნლისა შეაკვდა. მისგან შეპყრობილი მოცარტი ძალიან ადრე შეუერთდა მარადიულობას და კოსმოსის მუსიკალურ სივრცედ გარდაიქმნა... გიჟის მანტია ჩააცვა ნიცშეს, დოსტოევსკის, ლერმონტოვს, ჰემინგუეის. წარმოიდგინეთ, მათ გარდა მაგ ვარსკვლავეთურ ზემგრძნობელობითი მაგნიტურ-მძლავრ გალაქტიკისფერი მუხტების ქროლვა მრავალ დიდ ხელოვანთაც ბევრად უფრო გაუჭირდაო; რათა ზოგ მათგანმა ვერაფერი ვერ შექმნა, ისე დაიფერფლაო...

მიუწვდომელი კოსმოსი ზოგჯერ უკიდურესად ააფორიაქებს ადამიანებს, საერთოდ, დედამინელებს და, მაშინ, განსაკუთრებული ღელვებია ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ბოლომდე ჩავწვდეთ და, ბუნებაში, ტყეში, მთებში, სტეპებზე, უდაბნოში, ჯუნგლებსა და საფლავებშიც! რათა ზეენარულ ენერგიათა მდინარება ადიდებულ მდინარესავითაა ყველგან. ხოლო ვარსკვლავთ-სხივთ უკეთური მპყრობელობა, პოლიტიკაში სუსტ მოღვაწეთ უღვიძებს და უმძაფრებს ბოროტებას, რითაც ურთიერთის და ხალხის მიმართ დაუნდობელნი ხდებიან. წარმოიდგინეთ მაგ შემთხვევაში მშველელ-დამარეგულირებელი სხვა ზეძალა აღარ არსებობს, ამდაგვარი იშვიათი შემთხვევები, დედამიწაზე ხშირად არ ხდება. თუ ბოროტ სხივთა დინება განეფინებოდა უძლეველ ენერგიად, რასაც გამანადგურებელი ომები და რევოლუციები მოჰყვებოდა, ანდა იყო სანატრელი შემთხვევები, როდესაც ზეციური კეთილი შუქთ სითბო რომ შემოეხვეოდა მორჩილ, ცოცხალ პლანეტას, ზენაართაგან მინიშნებულ რომელიმე შემოქმედებითად მომწიფებულ-ინტელექტუალურ ქვეყანაში, გენიები მოევლინებოდნენ და მათი მოღვაწეობანი საოცრებებს შობდა როგორც ხელოვნებაში, ასევე მეცნიერებაში და ცივილიზაცია ყვაოდა! მაგრამ ისინიც, იმავე მდგომარეობაში მყოფნიც, უმოწყალოდ ეწირებოდნენ. ასე, რომ, მეგობრებო, ყველაფრის მიზეზ-წყარო დედამიწაზე, შორეულ თუ უახლოეს პლანეტათა დადებითი თუ უარყოფითი გამოსხივებათა გავლენებია უსათუოდ უმცირეს მოლეკულამდე, რაც კოსმოსური სახეა, უწყვეტ-უმტკიცესი ჯაჭვისა.

უძლიერესმა, უმძიმესმა, უმკაცრესმა და ულმობელმა შემსრულებელმა სიკვდილმა იხილა ბნელისგან სინათლე რომ იბადებოდა, შეშფოთებულს გაუკვირდა და დამპყრობლურად სივრცისკენ გაიხედა. ყოვლისშემძლე უხილაობას თითქოსდა თვალი არა აქვსო, მაგრამ უპლანეტო სივრცის ფერის მთლიანი ხედვაა მისი არსებობა, რომელსაც სრულყოფილად სააზროვნო გონება ან სიყვარულ-სიკეთე არ გააჩნია და სრულიად სხვა რაღაც გაუგებარ-მიუწვდომელის გრძნობათა მფლობელია, გალაქტიკების უსასრულობაში უსულო და უკიდურესი უხილავი უკეთური ძალაა სიკვდილი. რითაც თვითონვე ბნელეთურად იხრუკება მუდამჟამს, ქვეყნად უმძიმესი და უბოროტესი გადაწყვეტილებების შემსრულებელი აქაც სრულიად მარტოა. მან არ იცის რაა ცოცხალთ წამება და მტკივნეული მოკვდინება ამდაგვარი საზიზღროების გამოც მებრალება სიკვდილი. თავად უსულო, უგულო და თითქოსდა უგონო, ნამდვილად ვერა გრძნობს, როგორი შავი ძალაა ნებისმიერი ქვეყნიური სიცოცხლის მიმართ, თუმც უსასრულობის გარდაუვალ მომავლის პროცესებს ასრულებს ბრმად თუ? ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ ღრმა ფიქრების ღირსია სიკვდილი. ასტროლოგები გვასწავლიან, თითქოსდა სამყაროს გაჯანსაღება-აღდგენითობის თანმიმდევრობაა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ყოველი ინდივიდის განადგურების გამო უკიდურესი ჯალათია და ამ მხრივაც მწარე ფსკერიანი საცოდაობაა თავისი მარად მიუღებელი ზნეობით, ყოველივე მცირედი, ჩემს მიერ მისი ლიტერატურულ-გრაფიკული მართალი თუ კრიტიკული პორტრეტის ხატვისა ის მაინც მარადიულია. როგორც ითქვა, სიკვდილი მხოლოდ მაშინ მოკვდება, როცა სამყაროს პროცესმა, ღმერთმა ნუ ქნას და, სიცოცხლე გაქრება სრულიად სამყაროში. მაშინ სხვა რამ განუსაზღვრელი ამოტივტივდება, რომლის მიახლოებითი განმარტება თუ დასურათება, ჩვენი პლანეტის ნებისმიერ ღმერთებსაც არ ძალუძთ. დიახ და, მაინც, რა თქმა უნდა, სიკვდილი მიუკვლეველი და უფრო მეტად წარმოუდგენელი, ყველგან მყოფ-მავალი საქმე დაუსრულებელი ურთუოლესი მოვლენაა.

გაგრძელება იქნება

პოეზია

არსენ კარაპეტიანი

დედის თვალები

სადაც არ ვიყო, დამდევენ შუქად
ღამენათევი და ნაწვალები,
ყველაზე თბილი, ყველაზე ტკბილი,
დედის თვალები.

ჩრდიალიან ფიქრებს,
ნისლიან ფიქრებს,
შემოღამებას, მზიურ ალებით
ფანტავენ უმალ, სიკეთით სავსე
დედის თვალები.

მინახავს ქვეყნად ბევრი თვალები,
იის ფერები, მაყვლის თვალები
და ყველას ჩრდილავს, შეუდარები
დედის თვალები...

გალაკტიონი თაფარავნის ტბაზე

დგას ტბის ნაპირას აზრებ გაშლილი,
ვით ფართო მუხა განმარტოებით,
ჭაღარა წვერი ქარში გაშლილი,
მკერდს ეფინება ალვის რტოებად.

უმზერ და თითქოს მკერდზე აფრებად
მხრები ამართა იდუმალ ძალამ,
და მის ბაგიდან ამოსაფრენად
ლექსმა არწივის ფრთები გაშალა.

მის ლექსებზე ვარ შეყვარებული,
ის ამ ეპოქის თანატოლია,
პოეზიისთვის კვლავ უცემს გული,
მას, პოეზიის ნამდვილ გოლიათს.

ქსნის ხევში ნისლი ჩიოდა

ქსნის ხევში ნისლი ჩიოდა,
მთებში ქარისგან რბეული,
ცაში ყორანი ჰყიოდა,
უამინდობას ჩვეული.

თქორი სცრიდა და ციოდა,
იმავე ნისლისეული,
ტყეში ობოლ ნუკრს სციოდა,
შიოდა, ძრწოდა, ეული.

ფიქრებს ტევრებად გახვევდა
სამშობლო მტრისგან ვნებული,
როცა ქურდულად გვახვევდა
დუშმანი ჩასაფრებული.

სოფლებს მოედო განგაში,
ხევ-ხუვმა დაიმქუხარა,
ხმლებმა დასტოვეს ქარქაში
ატყდა ვაჟკაცთა მუქარა.

მთებში აიჭრა მდევარი
ფეხით და ცხენთა ქროლვითა,
მაგრამ ვერ გნახა ვერავინ
ვერც ახლოს, ვერცა შორითა.

ბევრი გეძებეს, გეძახეს,
ეხომ დაჰფარა ველები,
როგორ მიჰყავდი, ვერ გნახეს,
ბორკილგაყრილი ხელებით.

მთებში ცივ ღამის მთევარი
ქრებოდა ნისლის ქულები,
უკან დაბრუნდა მდევარი,
ბოღმამ გათანგა გულები.

ზედაზნის ველი ყორანმა
ყაშყაშით გადაიარა,
გორი უბანში ვერანმა
გახსნა ახალი იარა.

ლამისყანაში შავთვალამ
ცრემლი დაღვარა მდუღარე,
ტირილით მთები გათვალა,
თმაჩამოშლილმა, მწუხარემ...

შენ კი მიჰყავდი ვით მონა,
მწარე ფიქრების ამარი,
წვიმა რომ სცრიდა, მეგონა
შავთვალა ნაწამწამარი.

დაკარგული სიყვარული

ჩემი ოცნების სათუთი ფრთებით
პაწია კუთხის მიჯნას ვერ გავცდი,
და ჯავახეთის ვიკმარე მხარე,
მე ვამჯობინე ეს ტინის ქვები...

ფართო გამზირებს ათასწილ, ასწილ,
და ყველაფერზე, ო, ყველაფერზე,
მეტად ძლიერად
მიყვარს ეს მხარე,
სადაც ავიდგი ფეხი პირველად,
და დავინახე მზის დარი მთვარე...
სხვა აირჩიე შენ მამითადი...

ლამაზებთან შემახვედრებს,
შენს თავს უფრო შემაყვარებს,
და ეს ტკბილი ფიქრთა დენა
დამატკბობს და გამახარებს.
გათენდება. მზე სხივებით
ავარაყებს მშობელ მხარეს,
ოქროს ფერად აფერადებს
ზღვის კამკამა სიანკარეს,
ზღვაურს ვატან გულის ამბორს,
დასავლეთის დავხვდი ქარებს!
ჩემ ბავშვების სიყვარულით
ზღვასთან ვკოცნი სხვის პატარებს.

გულის საუნჯე

ზღვა ყოფილიყო, დავლევდი,
ფსკერს მოვნახავდი, კიდესაც,
ვიტყოდი, საქმე დავიწყე,
და დავამთავრე კიდევაც.
გულის საუნჯეს რა ვუყო,
რა უთვალავი მდებია,
რაც თავი მახსოვს, ვარიგებ,
ჯერ ბეწვიც არ მოჰკლებია.
არ მინდა დამრჩეს უთქმელი,
არც ერთი სიტყვა ფრთიანი,
მინდა დავცალო ეს გული
თავის საუნჯით მთლიანით.
მაგრამ კი, ვიცი, ვერ შევძლებ
ნიადაგ ღამის მთეველი,
მოვკვდები და თან გამყვება
საუნჯე დაულეველი.

ფოთლები

შემოდგომაა, ცრიატი დარი,
სისინებს ქარი და როგორ ცივა,
შემოძარცულა ხეების ჯარი,
ფოთლები სცვივათ, ფოთლები სცვივათ.

ფოტო კუკური მეტრეველისა

გზა გაუკაფე ოცნებას ფარულს.
გამზირს მივყვები გიშრის პირბადით,
ეძებ დაკარგულ ლამაზ სიყვარულს
მთებში დაკარგულს...

ჩემს მეუღლეს

როცა ღამე, მყუდრო ღამე,
ზღვის ნაპირზე ჩამოწვება,
როცა მთვარეს დაამშვენებს
მოციმციმე ვარსკვლავთ კრება,
როცა ციდან ირმის კვალი
ზღვაზეც სირმად გაევლება,
თვალს ვაშტერებ, კვლავ მიტაცებს
ფიქრის ფიქრზე გაელვება.
სადაცა ვარ! ყველგან დავქრი,
ზღვა ფიქრების მსუბუქ ფრთებით,
თვალწინ ელვად ჩამიქროლებს
სარეკის და განძის მთები;
ზოგჯერ თითქოს ჰამაკში ვარ,
მესმის ნანა ცელქ ზვირთების,
მათი ქება მომინდება,
მათი ტრფობით ავინთები.
და ოცნება ფრთაგაშლილი
მთელ სამყაროს მომატარებს,
საიდუმლოს არ დასტოვებს,
ყველგან შეხსნის დახშულ კარებს,

მგონია, ხეებს ნაფოთლარები,
უფრიალებთ და უწივით ცივად,
ქარი უბერავს კვლავ გამეტებით,
ფოთლები სცვივათ, ფოთლები სცვივათ.
ამ ფოთოლცვენას თვალგაშტერებით
როცა შევყურებ მეც გული მტკივა,
ვხვდები, რაღაცით ამ ხეებს ვგავარ,
და ფოთლებივით დღეები მცვივა.
აგერ, სულ მალე მკაცრი ტაროსი
აქარიშხლდება ტყეში თუ ველად,
ხეებს გაძარცვავს მძლავრ ფრთების მოსმით,
ხეთა შრიალიც მიწყდება ხელად.
ჩემი ტაროსიც დადგება, ვიცი, –
ჩემი სიცოცხლის ზამთრისპირული,
მეც ქარიშხალი დამბერავს ციმციმ,
განვიძარცვები მით განწირული.
ასეა ქვეყნის წესი და რიგი, –
ყველა ბილიკი ამ ზღვასთან მივა,
ერთ დღეს გრიგალი მოჰყვება
შლიგინს, –
ვის ფოთლები და ვის წლები სცვივა.
უნდა ეცადო დასტოვო რამე,
არგე ქვეყანას, უქმად ნუ გძინავს,
თორემ, ხომ ხედავ, დღეს რომ
ცვლის ღამე,
ხეებს ფოთლები, – ჩვენ წლები
გვცვივა.

გაზაფხული ჯავახეთში

კვლავ აღიღინდა სამხრეთის ქარი,
ლეღმების ღვარი მოედო ჭალებს,
ბუნება თვალებს ახელს და დარი
დამდგარა წყნარი, მზე აფრქვევს
ლალებს.
თოვლის საბანი გამდნარა ბარად,
ლაპლაპაფარად არტყია სერებს,
აბულს ამშვენებს აბლარი მარად,
პოეტის ქნარად შერწმულა ფერებს.
წამოქოჩრილა პატარა ღელე,
ზურმუხტის ველებს მოჰკივის
ეშხით,
გულო, აეშვი, ამ ნაირფერებს
ბევრი უმღერებს აპრილის თვეში.
მიდამოს ავსებს მერცხლის ჭიკჭიკი,
როგორც შიკრიკი, გალობს შოშია,
ვერცხლისთოშიან წყაროს ლიკლიკი,
ჰკოცნის რიგ- რიგად ენძელას, იას.
ამღერებულა ვით მაყრიონი,
მტკვრის და რიონის ზვირთთა
ნაღარა,
ბრწყინავს ჭაღარა კავკასიონი,
ჰყეფს იადონი, მზეა თაკარა.
შორით მოფრენილ ღალღას,
გალრიანს
ის უხარიათ, ის ემღერებათ,
ქვეყნის მშვენებად ძმობის დარია,
ფრთამედგარია ხალხის ხმა, ნება.
იმღერე გულო, უფრო გულიან,
სიხარულია ბაღში, ყანაში,
ცხელი მზის რაში დარახტულია,
გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში!
თუ გული მიძგერს მე სასიმღეროდ,
ეს ხომ მადლია მშობელი მიწის,
სადაც ფესვები მიდგია, ვხარობ,
რაზეც თაკარა მზის სხივით ვიწვი.
თუ სიტყვა მერჩის აზრის ნათებად
და თუ ჩიფჩიფით ვაგონებ ვისმე,
ან თუ ქართული ძვირად მაკლდება
და მშობლის ძახილს უნაკლოდ
ვისმენ.
ეს ხომ ნანინას პირველ მოსმენით
გულში ფაქიზად ჩამიქსოვია,
ეს ხომ წვეთია იმ დედა ენის,
დედის ძუძუთი რომ მიწოვია.
თუ სილამაზის მონა ვარ მუდამ,
ჩრდილთან ბრწყინვალეს დავეძებ
თვალით,
ლექსის სტრიქონში ელავდეს
მინდა
ალმასი, ფირუზ-ზურმუხტი-ლალი.
ეს ხომ სამშობლოს მწვანე
მთებია,
ეს ხომ ზეცაა სულზე კრიალა,
ეს ხომ ციმციმა ვარსკვლავებია,
ეს ხომ მზე არის თვალებბრიალა.
ეს ხომ ლიკლიკა წყაროს
თვლებია,
ჩანჩქერებია ჩამოტეხილი,
ეს ტაბაწყურის, წუნდის ტბებია,
ბაღნარებია სავსე ხეხილით.
ეს მეგობრობის ტკბილი ხმებია,
მოზარნიშული ხალხის
ტრფიალით,
ეს ჩემი ქვეყნის ქალ-ვაჟებია,
მზის კაშკაშია მთვარის ციალი!

„პირზე ოფლგადმომდინარემ“

სოსო გიქოშვილი

პოეტის ღირსება იზომება იმ სიყვარულით, რომელიც მან ხალხის გულში მოიპოვა. ეს არ არის სადავო. ეს მთავარი კრიტერიუმია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუხარებია მკითხველის გული შოთა ნიშნიანიძის ლაღსა და ფრიად სტრიქონებს! ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მაშინ, როცა პოეტი პირისპირ ხვდება თავის მკითხველს.

შოთა ნიშნიანიძე უაღრესად ეროვნული პოეტია. ქართული კლასიკური ლექსისა და მდიდარი ხალხური შემოქმედების ნაყოფიერ წიაღშია საძიებელი მისი განწყობილებისა თუ გამოსახვის საშუალებათა წყარო და სათავე. იგი მადლიერი მემკვიდრის პოზიციიდან აგრძელებს დიდებულ

წინაპართა სასახელო ტრადიციებს, თუმცა, ჩვენი აზრით, ყველაზე სისხლხორცეულად მაინც ვაჟასა და გიორგი ლეონიძეს ენათესავება, ღირსეულად ეხმიანება მათი ვაჟკაცური ხმის ექოს, მათი სულისკვეთების შესაბამისად აყალიბებს საკუთარ შემოქმედებით მიზანს თუ მოქალაქეობრივ მრწამსს:

უნდა ვიღვაწო, ვინვალო,
მის ახალს შევმატო მისხალი,
„პირზე ოფლგადმომდინარემ“
გადავიხადო ღვთის ვალი.

ნარ-ეკლით მოფენილი გზა შემოქმედისა სიკეთის, გულმოწყალების, მოყვასის სიყვარულის, პატიოსნების, უანგარობისა და დიდსულოვანი მიმტევებლობის ციცაბო ბილიკზე გადის. დღეს, როცა დროის აქტიურ სიმპტომად იქცა პირადულზე თავგამოდებული ზრუნვა, უსაფუძვლო ამბიციურობა, უსამართლობა და განუსჯელობა, როცა საუკუნეთა მანძილზე წვითა და დაგვით შენარჩუნებული ეროვნული ხასიათის სიმტკიცეს წამიერი სიამისა და კეთილდღეობის დაუოკებელი ძიების კოროზია შეუჩნდა, როცა ამ ხალხმრავალ უდაბნოში ეულად და უმწეოდ დაბორიალებს თანაგრძნობისა და თანადგომის გასავათებული წადილი, მხოლოდ საკუთარი ბუნების სრულყოფისაკენ სწრაფვა იხსნის შემოქმედსაც და მრევლსაც. ხომ უცხადესია, რომ ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის უწმიდეს საქმეს პირადული ვნებებით დამუხტული ვერ მიეახლები, შურით, მტრობითა და ანგარიშიანობით ვერ გაუფასურებ ამ უმაღლეს მიზანს. ყოველგვარ მანკიერებასთან ბრძოლა საკუთარი არსებობის სრულყოფიდან უნდა დაიწყოს. შთამბეჭდავი სიდიადით არის გამოხატული პოეტის ეს სულისკვეთება მის ლექსში:

ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე,
შურზე, მტრობაზე ამაღლების დღე,
მიმრავლე მტრებთან შერიგების დღე,
საკუთარ თავთან შერკინების დღე,
შენთვის ამქვეყნის შევედრების დღე,
ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე!

ამ ლექსის აზრობრივი სივრცე შორს სცილდება პიროვნულ ჩარჩოებს და გლობალურ მასშტაბებს, ამ შეგნებით პოეტი კიდევ ერთხელ ეხმიანება ქართული კლასიკური მწერლობის ჰუმანისტურ ტრადიციებს, რაც სრულიადაც არ გულისხმობს ძალმომრეობის მიმართ მონური მორჩილების აპოლიგიას, სიკეთისა და სათნოებისაკენ სწრაფვის ეს ტენდენცია ქართველი კაცის სულიერი მემკვიდრეობაა, დღეს ყველაზე მეტად რომ საჭიროებს განახლებას, აღორძინებასა და განმტკიცებას.

ისევე, როგორც საერთოდ, ქართველი პოეზიისათვის, შოთა ნიშნიანიძისთვისაც ნიშანდობლივია საკუთარი შემოქმედებითი მრწამსის ბალავრის ძიება. იშვიათია შემოქმედი, ამ მიზნით რომ არ დაბრუნებოდეს თავის ბავშვობას. შოთა ნიშნიანიძისთვის ეს ბალავარი ეროვნული ყოფაა, ქართული ზღაპრის რომანტიკით განცდილი სინამდვილეა, სადაც თავს იყრის სიყმაწვილის მშვენიერ შთაბეჭდილებათა ულევი მარაგი, ის, რაც შემდეგ მის პოეტურ წარმოსახვაში უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც უმთავრესი სათქმელი.

ის, რაც მარტოოდენ ბავშვობის გულუბრყვილო და უშუალო განცდა იყო, შემდეგ სიმბოლოებად გარდაისახა, უსაზღვრო, აზრობრივ დატვირთვას შეიძენს, ორგანულ მთლიანობად გაცნობიერდება და ღრმა ანალიზის საგნად იქცევა.

იქ რიონზე, სანაოსთან,
ბონდის ხიდი ქანაობდა,
გავდიოდი გაღმა მხარეს
და ჯადოსნურ ლერწმებს ვთლიდი...
თურმე ბეწვის ხიდი იყო,
მე მეგონა ბონდის ხიდი.
ვიღაც ქალი ბჟოლას სხეპდა
და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს,
მე მეგონა გლეხის ქალი,
თურმე ღვთისმშობელი იყო.

ასე გარდაიქმნებიან სიმბოლოებად ჩვეულებრივი საგნები და მოვლენები. ხნულს ადევნებული მეხრე ქრისტე ღმერთად იქცევა, თანატოლებთან მოტორღიალე ხათრიანი ბიჭი – ზღაპრულად ამირანად, ირმის ჯოგის მწველავი გოგო-ქალღმერთი დალიდ და ა.შ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს მხატვრული სახეები მითიდან კი არ გამოდიან და ჩვეულებრივობაში კი არ სახლდებიან, როგორც ეს უმთავრესად ხდება ხოლმე შემოქმედებით სამყაროში, არამედ ჩვეულებრივობა, ყოველდღიურობა მაღლდება მითამდე, ლეგენდამდე და იქცევა ეროვნული ყოფის, ეროვნული ზნეობის ნათელ ნიშანსვეტად... და ყველაფერი რაც ქმნიდა და აყალიბებდა პოეტის პიროვნებას, ეროვნულ წიაღშივე დასაბრუნებლად განემზადება, როგორც სიკეთის მარცვალი – სულის ნოყიერი ნიადაგისათვის. ეს ზეციური წარმომავლობის სახეები პოეტის არსებას პირთამდე აავსებენ და მშობლიურის სადიდებლად აღაფრთოვანებენ:

წადი, შვილო, და რაც ნახე,
ქართული ხმით იგალობე!

შემდეგ კი, როცა დამძიმდება ცხოვრების ტვირთი, როცა ბალღურ სილაღესა და უდარდელობას შემოქმედის მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნება შეენაცვლება და სულის შემძვრელად მოენატრება სიყმაწვილის ის უზრუნველი სიამე და ტკბილი ზმანება:

ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო,
ბავშვობისკენ ფრინდი, ფრინდი,
ბონდის ხიდი მაპოვინე,
ზღაპრის ხიდი, ოქროს ხიდი!

შოთა ნიშნიანიძე აქ, ნაწამებ მიწაზე, ცხოვრობს, იღწვის, ქმნის, იშვიათად სცილდება მიწას და ისიც მარტო იმიტომ, რომ მას შორიდან დახედოს, თვალწინ უფრო მასშტაბურად გაისიგრძეგანოს და მკაცრად შეაფასოს მისი წყევლაკრულვიანი საზრუნავი. ის რეალურად არსებულის სამსახურშია, როგორც მისივე ხარი წიქარა, ვალმოხდილი, ნაჯაფარი, ამაგდარი, მორჩილად რომ შებმულა ერის სამსახურის მძიმე უღელში და ნეტარი რუდუნებით ეზიდება ამ ძნელ ჭაპანს :

მე ვარ მისანი, ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო,
შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რომ მიდგას განაჩენივით,
არ მომიღერო, გეთაყვა, სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.
და თუ გქონია რამე ტკივილი
აბრა მეჭირა ზნეკეთილიანს,
ამილოკია ქვამარილივით
და ზარის ცრემლით დამიტირია.

გრძნობის ამგვარად გამჟღავნება მარტოოდენ ქართველ კაცს, მხოლოდ ქართველ პოეტს ხელეწიფება, ვისაც სიტყვაში ჩვენი ნაწამები მიწის მადლი გამოჰყოლია.

ხარის პერსონიფიცირებული სახე შოთა ნიშნიანიძის სხვა ლექსებშიც დომინირებს, როგორც შემოქმედის მოქალაქეობრივი გამომხატველი. ასეთია, თუნდაც ქართული პოეზიის შესანიშნავი ნიმუში – „ხარი“.

პოეტის მიერ მიგნებული პირველი სიტყვა თუ ფრაზა ხშირად იქცევა ხოლმე იმ გასაღებად, რომელმაც შემოქმედის საიდუმლო სამყაროს უნდა შეგვიხსნას და ლირიკული გმირის განცდათა ნამდვილობას გვაზიაროს. „ხარში“ ამგვარ მაგიურ გასაღებად გვევლინება მიმართვა – „აგრემც“. ამ თითქოსდა უპრეტენზიო სიტყვის პირველივე გაელვება უკვე ქმნის მშობლიური განცდით დამუხტულ ატმოსფეროს, რომლის წიაღშიც უნდა აღმოცენდეს ხალხური პოეზიის დვრიტით გაჟღენთილი ვერსიფიკაციური სასწაული:

აგრემც ვალმოხდილ, ნაჯაფარ,
ბებერ ქედს ვენაცვალები,
სულ ნაღვლიანი რადა გაქვს
ჯილა, საცერა თვალები?

ხალხური მეტყველების დამახასიათებელი ეს უბრალოება სულის სიმებს ათრთოლებს და მკითხველის წარმოსახვაში ცოცხლდება არა ლეგენდა, არა მითი, არა ზღაპარი, არამედ არქაული გარემო. ლექსში ამაზე არაფერია ნათქვამი, მხოლოდ სტრიქონებს შუა იგულისხმება გარდასულ ეგზოტიკად ქცეული მამაპაპეული ყოფის ატრიბუტები. პირველივე სიტყვიდან იბმება ურთიერთობის უხილავი ძაფები, მყარდება იდუმალი შინაგანი კონტაქტი ავტორსა და ხარს შორის. აქ საჭირო აღარ არის სიმბოლოები და მინიშნებები, პოეტური ქარაგმები და ნართაულები. ისე, უბრალოდ, ადამიანურად, მადლიანი ქართულით ესაუბრება პოეტი ხარს, თანაგრძნობით ეზიარება მძიმე ხვედრში, აღნუსხავს მის ამაგს მიწას შეჭიდული ხალხის მიმართ:

აშენე ციხე-ქალაქი,
ააგე ბევრი საყდარი,
რომ ქართველს აბჯარგაუხდელს
მტერი ჰყოლოდა წამხდარი...
ძეობა იყო, – გლეხკაცი
ისევ შენ გდებდა იმედებს,
ღრეობა იყო, – ვაიმე ,
მტკიოდა გული საღადრე,
წამოგაქციეთ ნაჯაფი
და ყელი გამოგაღადრეთ.

ცხედარიც მიპატიოსნე
აღაპ-ქელეხის წესებით,
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე
ტირილით ვწერე ლექსები.
ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა
ჯანი და ჯაფა ხარისა,
სიტყვა – ხარივით გამწევი
მამულის გასახარისად.
ვიყო ხარივით ამტანი,
ვიყო ხარივით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის
მეც შევძლო ხარისოდენი.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში თავს იჩენს ცხოვრებისეული გამოცდილება. ცნობილია, რომ, როცა პოეტურ გრძნობას პოეტური აზროვნება ჭარბობს ან პირიქით, ირღვევა ესთეტიკური პრინციპი იკარგება ლექსის სრულყოფილება. ამ მხრივ შოთა ნიშნიანიძის პოეზია ჭეშმარიტად გასაოცარი წონასწორობაა, ჰარმონიული მთლიანობა ამ ორი მხატვრული ფენომენისა, ამიტომაც ის თანაბარი ძალით ესადაგება აზრობრივ თუ გრძნობად ემოციებს, წამითაც არ კარგავს იმ პოეტურ მდინარებას, ასე მადლიანად რომ ბრწყინავს მის დახვეწილ სტრიქონებში. ამის დასტურია მისი არაერთი ლექსი, მათ შორის „კოჯრისა და ათონის დიალოგი“, „ბალადა პროფესორ ჟორდანიას გმირობაზე“, „დედაბრისა და მამლის ამბავი“, „იმერეთი-გიორგობისთვე“, „ამ ქუჩის ბოლოს“ და სხვა მრავალი, სადაც პრაქტიკული საამოდ ერწყმის უაღრესად მაღალ პოეტურს.

„კოჯრისა და ათონის დიალოგში“, პოეტი ძრწოლვითა და სევდით უცქერს სითბოსა და ალერს მოკლებულ ობოლ და უპატრონო ბავშვებს და აღშფოთებისაგან სულშეგუბებული ფიქრობს იმაზე, როგორ იმეტებენ დედები შვილებს სხვის კარზე მისაგდებად ან საბავშვო სახლებში ჩასაბარებლად. ან ეთქმით კი მათ დედები? ეს ბავშვები ხომ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილია, ვისაც, მომავალში, საქართველოს ბედი უნდა ჩავაბაროთ!

როგორც ვხედავთ, თემა მწვავე, მაგრამ აშკარად პროზაულია. ახლა ვნახოთ, როგორ გარდაიქმნება ეს პროზა მაღალ პოეზიად. სულის შემძვრელად ხატავს ამ ცოდვის შვილთა მრისხანე მზერას. ისინი „გალახული თვალებით ყეფენ“, „ხოლო თვალებით ყეფა – ეს ყველაზე მნარე ყეფაა, თვალებით ყეფა პროტესტია ყველაზე დიდი“ სტრიქონებს შორის უსაშველო სევდა ჩანს და ამ სევდის ფონზე ღვთაებრივი სიწმინდითა და სინათლით გამობრწყინდება სახე ორმოცი უპატრონო ბავშვისა, გიორგი მთაწმინდელმა ათონის გზას რომ გაუყენა. საქართველო იოლად ვერც ამ ობლებს შეელია, ამიტომ მათი გასტუმრება, თუნდაც, კეთილშობილური მიზნით, ლხინი კი არა, გოდებაა მთელი ერისა:

ზარების რეკვა, დარისხება ის მის გოდებად,
ერი და ბერი ეკლესიის ბჭესთან გროვდება.

ზარები არასოდეს რეკენ უმიზნოს და უშინაარსოდ, არც ერი და ბერი მოგროვდება ტაძართან უქმად. მაშასადამე, რაღაც ხდება, ძალიან დიდი... თითქოს უზარმაზარ ფერწერულ ტილოზე თანდათან იხატება სცენა, რომლის განათებულ ნაწილში მოკრძალებით დგას ოთხმოცი დაბნეული, სახეგამშრალი ბავშვი. ამიერიდან მან წამების გზებზე უნდა იაროს, რომ ეროვნული კულტურის საგანძურს ახალი რამ შესძინოს. ბიჭებს თან მიაქვთ სამი რამ, სამი წმინდა სიმბოლო თავიანთი მომავალი ღვაწლისა და საქმიანობის: ფანდურები, ცელები და სამშობლოს ხსოვნა... უნდა იშრომონ, მშობლიური ჰანგები ისმინონ და შიგ გულის გულში შეინახონ მამულის ხატი:

ქართველი კაცი თუნდაც ბერი,
განა მოცდება –
„მრავალჟამიერს“ დათესავენ
ყანა-ბოსტნებად,
„კრიმანჭულს“, „ლილეს“, „შენ ხარ ვენახს“,
ათონს დარგავენ,
ვაზიან ხარდნებს მომართავენ, როგორც
საკრავებს.

ერთი შეხედვით, მეტაფორულადაც კი ძნელი წარმოსადგენია ხორბალივით დათესილი „მრავალჟამიერი“ და „შენ ხარ ვენახი“, ისევე, როგორც გალაკტიონის „ლურჯი კომში და ცისფერი ატამი“, მაგრამ ამ ორივე შემთხვევაში სწორედ ეს განაპირობებს ლექსის ღრმა, ემოციურ დატვირთვას. ამ სტრიქონების კითხვის ამაღლდება, ეროვნული თვითშეგნება, იგრძნობა ის მოსალოდნელი ფაქტი, რომ უცხო მიწაზე გაღვივდება და კიდით კიდეს მოედება სიცოცხლისუნარიანი ქართული გენი:

მილალავს დიდი ათონელი
ოთხმოც ბოჩოლას,
ოთხმოც ურა კვიცს,
ოთხმოც მგლის ლეკვს
და ოთხმოც მწევარს...

ალბათ, ისინი ვერასოდეს დაბრუნდებიან, ვეღარასოდეს შეიგრძნობენ მშობელი მიწის ნოტიო სურნელს... შორიდან უნდა იოცნებონ საქართველოზე, სანთლის შუქზე იკითხონ ქართული ფოლიანტები.

ყოველი თანამემამულის სულში სამშობლოს სიყვარულის ნაღვერდალი უნდა გააღვივონ. მიდიან ქვეყნის სამსახურად და ობოლ ბიჭებს *„ათონისაკენ მიაცილებენ კერიის ცეცხლი, იავნანა, ყრმობის სიზმრები“.* ხვალიდან უფრო დამძიმდება ჩვენი სვე-ბედი, *„ხვალ-ზეგ ოთხმოცი მეციხოვნით ცოტა ვიქნებით“,* მაგრამ ჩვენს სულიერ ცხოვრებას ოთხმოცი მნათე ოქროპირი ახალგაზრდა გააჩირაღდნებს.

ასე დგას ერთ ლექსში ერთმანეთის პირისპირ ორი სინამდვილე: ქართველი ობოლი ბავშვების ბედი აწმყოსა და წარსულში. ასე ანამუსებს უსულგულო თანამედროვეობას ჩვენი ტრაგიკული, მაგრამ სასახელო წარსული. შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში პრაქტიკული საჭიროება ასე გარდაიქმნება მაღალ პოეზიად.

ამავე ნიშნით ხასიათდება „დედაბრის და მამლის ამბავი“, სადაც მძაფრად არის წარმოჩენილი თანამედროვეობის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა მიტოვებული, დაცარიელებული სოფლისა, მიგრაციის ტრაგედია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღარავინ დაბრუნებია მშობლიურ ადგილებს. ჩამქრალი კერები უძლური მოხუცების ამარა დარჩენილა. გაპარტახებული ეზო-ყურეებში მარტოობა ჩაბუდებულა.

გარინდულ გარემოს მხოლოდ მოხუცი დედის ძახილი და ერთადერთი ხინჩა მამლის ამბოხი აღვიძებს. საოცრად არის მიგნებული მამლის ყივილით ასოცირებულ ომში დაღუპული ვაჟკაცების სახელები, როგორც სასოწარკვეთილი მშობლის გაუნელებელი ტკივილი და მარტოობის უმძიმესი სევდა. განგაშის ზარით რეკს სამგლოვიარო მუსიკად გახმიანებული ეს განწირული ძახილი:

– გოგლიკოოო...
– კიკოლიკოოო...
– კუკურიკოოო...
– ილიკოოო...

სასომიხდილი დედა და დაობლებული სოფელი ამაოდ უხმობს ომში დაკარგულ შვილებს თუ ქალაქში გახიზნულ მათ უმადურ ნაშიერთ. მერე ის ერთი მოხუცი მიდის... ქალაქიდან ჩამოსულები მამასაც კლავენ, გზაში რომ არ მოშივდეთ, მოხუცის მარტოობასა და სიღარიბესაც გულს გარეთ გაიხსენებენ, რაჭა კი, რაჭა, როგორც სხვა კუთხეები საქართველოსი, ცარიელი და უპატრონო, უჭირისუფლო მიცვალებულს დამსგავსებია. შემაძრწუნებელია ლექსის ფინალი, სადაც მოულოდნელად გაკრთება მწარე ირონიით აღბეჭდილი მისტიკური ჩვენება:

ამბობენ მთაში მონადირეს დაუფრთხა როჭო
და თოფი ხელში შეაცივდა, ისე შეშინდა:
პირჯვარს სახავდა დედა-
ბერი

→

გაღვიძაღო ღვთის ვაღი

მშობლიურ რაჭას
მფრინავ თეფშიდან...

ეს დამარცხების მწუხარე ირონიაა. რაც ვერ შეძლო ისტორიის ავბედითობამ, ჩვენ თავად მოვიმოქმედეთ სოფლის მიტოვებით. ეს აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემა შოთა ნიშნიანიძის ლექსში ღრმა ლირიზმით არის განჭვრეტილი და გამოხატული.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ლექსზე „იმერეთი, გიორგობისთვე“, რომელიც წარმოსახვის მასშტაბურობით, თემის გააზრების ორიგინალურობით, თხრობის დინამიზმით და მომხიბლავი ეროვნული კოლორიტით თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. ქართულმა პოეზიამ არაერთი ხერხი გამოიყენა მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული შედეგების გამოსახატავად. მხატვრულ ქმნილებებში მთელი სიმძაფრით გამოისახება მრისხანე ბატალიები, გამძლეობისა და შეუპოვრობის ლეგენდარული მატიანეები, თითქმის ამოიწურა სათქმელი, ცდა, გამოსახვის საშუალებებიც, მაგრამ შოთა ნიშნიანიძის პოეტურმა შესაძლებლობამ ამ სფეროში სულ სხვა ჰორიზონტი გადაშალა, სავსებით განსხვავებული, ორიგინალური ასპექტით წარმოაჩინა ამ მოვლენის ტრაგიზმი.

ლექსი – „იმერეთი-გიორგობისთვე“, შთამბეჭდავად ცოცხლდება იმერული სოფლის ეგზოტიკა. ლექსში განგებ გალაღებული თხრობით შევყავართ პოეტს მითებისა და ლეგენდების სამყაროში და მთელი სიმძლავრით განგვაცდევინებს ქართული სოფლის კოლორიტულ ხიბლს, რომ შემდეგ მისი უსაშველო სევდის მოზიარეებად გვაქციოს.

გიორგობის თვეში
ნუნუა წვიმს ჩვენში,
გალეშილი ოჩოკოჩი და ჩინდრიკოსტ ყეში,
გარბიან და გამორბიან გზები ალთა-ბალთას
დაღლაბუცო ბუდობს ოჩოკოჩი
ოქროსთმიან ალთან.

ლექსი ამავე დროს მშრომელი კაცის ბუნების დიდებული აპოლოგია, რომელშიც სრულყოფილად არის გამოვლენილი ავტორის პოეტური ხედვისა და მოვლენათა სიღრმისეული წვდომის გასაოცარი უნარი:

ჰკოცნიდა და ეხვეოდა ვაზის რქას თუ
ხარის რქას,
სიმინდს ფეხზე აყენებდა, წამოქცეულს
ქარისგან.
მაღლარსა თუ გუდაღელვებს შეჰხაროდა
ქვემოდან,
ალბათ ტანი თუ უგრძნობდა, ველარ
დაბრუნდებოდა.

გარდა სულის სევდა გულზე მძიმე ლოდად რომ არ შემოგვატოვოს, შოთა ნიშნიანიძე თითქოს ხელის ერთი მოძრაობით მიხურავს წარსულის მძიმე კარს და გრძნეული უბრალოებით დაგვაბრუნებს სიცოცხლის ნეტარ სიმსუბუქეში, რომ ყოფნის სიძნელე გაგვიადვილოს:

გიორგობის თვეში
გულს გაუდის რეჩხი,
გინდ ყოფილხარ იმერეთში,
გინდა – სამოთხეში.

შოთა ნიშნიანიძე არ არის ის პოეტი, ვინც თავმოსაწონად ქადაგებს ზნეობრივ ნორმებს, იგი არც მყვირალა პატრიოტული დეკლარაციებით უყუჩებს გულს მკითხველს. ის ცხოვრების გულის გულში ღრმად ჩახედული მოაზროვნე და მხატვარია, რომლის კონცეფციას ერთად განსაზღვრავს ტრადიციის სიღრმისეული ცოდნაცა და თანამედროვეობის სწორად გაგებული შინაარსიც, წარსულის პრაქტიკაცა და მომავლის პერსპექტივაც. მისი პოეზიის მძაფრი ზემოქმედების ძალას განაპირობებს ნათელი აზრი, პოეტური სემანტიკის სიახლე და სიუხვე, ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა და შეუდარებელი მეტაფორული სიმდიდრე.

აი, რა მარტივად მოაქვს პოეტს ჩვენამდე თავისი უმთავრესი სათქმელი:

ჰაუ, რა ცაა, რა მიწა, ჰაუ, რა მზეა
რა მათრობელა სიცოცხლე და სილამაზეა!
მათრობელაა ჰაერი და მზეც მათრობელა,
მთვრალი ვით მღერის აქ უბრალო
ჭრიჭინობელა.
შენც არ დაგბანგოს... არ ჩაგთვლიმოს
სულ ამას ვშიშობ,
ჩემო მამაცო, მშვენიერო, ამაყო ჯიშო.

თანამედროვე ცხოვრების ტრაგიკულ ვითარებაში ქვეყნის ინტელექტუალური ძალები თავიანთ მზერას თითქმის ყოველთვის აბრუნებენ წარსულისაკენ, იქ ეძებენ კრიტიკული სიტუაციიდან თავის დაღწევის გზას. ეს მით უფრო ითქმის მხატვრულ ლიტერატურაზე, რადგან წარმოსახვითი მასშტაბების მეოხებით, სხვაზე მეტად, სწორედ მას ხელეწიფება მოვლენათა განზოგადება. ამის ნათელი დასტურია მთელი მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ეროვნულ-პატრიოტული მემკვიდრეობა. ეს მომენტი ნიშანდობლივია შოთა ნიშნიანიძის პოლიტიკისათვისაც.

დასაბამიდან საქართველო დიდსა და ძლიერ მტერს უმკლავდებოდა, საოცარია, რომ ძალთა თანაფარდობის ამ კურიოზულ დაპირისპირებებში ჩვენი ქვეყანა, რაღაც სასწაულით, გასრესილ-განადგურებული არასოდეს გამოსულა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა, თუნდაც, გმირული შემართება მონგოლთა წინააღმდეგ, რომლებმაც:

ცხენის ძუაზე გამოაბეს მთელი აზია
და ბევრი სტვენით მიათრიეს ქვეყნის
კიდემდე...
მათ ნაფეხურებს სიკვდილი და ყვავი ასხია...
სამრეკლოებზე ზარებს ხსნიან, ჭიხვინს
ჰკიდებენ...

აქ მასშტაბურად ფარის ნაგრძნობი და გააზრებული ყვითელი ურდოების კვალდაკვალ ადევნებული უბედურება, რომლის ტრაგიკული შედეგები მარტოოდენ ქართველი ხალხის უბედური წილ-ხვედრი არ ყოფილა, მაგრამ სწორედ მცირე რიცხოვანმა ქართველობამ შეაჩერა მძლავრ ჯერბირად თავისი ურყევი ნება და ბრძოლის ფანტასტიკური ნიჭი ამ ღვართქაფად მოვარდნილ ცეცხლის მდინარეს.

პოეტი დინამიური თხრობით არ აღწერს ჩვენი ისტორიის ამ საბედისწერო მონაკვეთს. იგი სიმბოლიზირებული ხატებით ძერწავს და ემოციის გასაოცარი ძალით მუხტავს თითოეულ ხატს:

მონგოლთა სისხლში მზე ჭიხვინებს
უდაბნოების,
მონგოლთა ყბებით იცოხნება ამაოება.

ასეთი არნახული მასშტაბებით იხატება მთელი ეპოქა. ცხენის ველური ჭიხვინი და ალესილი ნალებიდან ბღუჯა და ვარდნილი ნაპერწკალი აწმყოს ტკივილად, განცდებად, რომელიც ჯერაც არ განელებია ჩვენი ერის გასავათებულ სხეულს. მკითხველი ავტორთან ერთად მთელი სისრულით გრძნობს სულის წიაღიდან ამოფრქვეული საუკუნეობრივი სევდით გაჯერებული ბოღმის სიმწარეს:

ხელში ავიღებთ მტევანივით გათქერილ
თარიღს
და ახლა ვხვდები: იმ დროს ქართლში
მეცა ვარ მკვდარი.

ეს არის წარსულთან თითქმის ფიზიკური შეხება, როცა სულიც და სხეულიც გარდასულის ტრაგიკული, მაგრამ მშვენიერი შინაარსით იმსჭვალება, როგორც ერის სასიცოცხლო მაჯისცემის მარადიული რიტმი.

ვფიქრობთ, თითქმის გმირული გამბედაობა იყო ჩვენი ისტორიის ამ ძნელბედითი პერიოდის მხატვრულად გაცოცხლების ხელახალი ცდა მაშინ, როცა ქართველი მკითხველი უკვე არის ნაზიარები ჩვენში მონგოლთა ბატონობის ამსახველ ისეთ პოეტურ შედევრებს, როგორებიცაა აკაკის „ნათელა“, გიორგი ლეონიძის „მეცამეტე საუკუნე“ და სხვა, მაგრამ შოთა ნიშნიანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართლის ცხოვრების ამ მწუხარე მატიანეს მან სრულიად ახლებურად მოჰფინა ნათელი.

საუკუნეთა წყვდიადიდან მან სულ სხვა ნათლით გამოაბრწყინა ბერი თევდორე თუ იოანე ბერი, ცოტნე დადიანი თუ გიორგი სააკაძე. პოეტმა გვიჩვენა ძალა თავგანწირვისა, როგორც პატრიოტული გრძნობის გავლების ყველაზე უფრო შთამბეჭდავი გაკვეთილი.

რამ აიძულა ბერი თევდორე, მტრისთვის გზა აებნა და მისი რისხვის უმწეო მსხვერპლად ქცეულიყო? განა არ შეეძლო, გულწრფელად ემართლებინა თავი, – რა მეღონა მე საცოდავს, ლაშქარს ვერ გავუმკლავდი, ძალით გამომიძღოლეს წინ. რომელი ჭკუათმყოფელი დაუძრახავდა მოხუცს ამ უძლურებას? ვერავინ, რა თქმა უნდა, ვერავინ, გარდა საკუთარი თავისა და სწორად მისი შეეშინდა ბერს, რადგან ეს საკუთარი თავი, საკუთარი სინდისია მისი ხასიათი, მისი ბუნება, მისი მრწამსი, მისი ცხოვრების წესი.

რამ მიიყვანა ტყვეობას შემთხვევით გადარჩენილი ცოტნე დადიანი მონგოლთა ურდოში, მოძმეთა მწარე ხვედრის გასაზიარებლად, ან პროფესორ ჟორდანიას რამ დაათმობინა გადარჩენის ერთადერთი შანსი ვიღაც უცხო გოგონასთვის. ამ საქციელს იმით ხომ ვერავინ ახსნის, – რა მოხდა, მოხუცმა ახალგაზრდას დაუთმო ცხოვრების გასავლელი გზა. ხომ ცხადია, რომ სიცოცხლის მიმწუხრზე უფრო გატკბება ხოლმე ყოფნის ყოველი წუთი? – ეს კითხვები ხმიანდება შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში ეროვნული გენის შესაცნობად, ხმიანდება და ლოგიკურად დასაბუთებულ პასუხსაც პოულობს, ეს პასუხი კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ ეროვნულ თვისებად ქცეულმა თავგანწირვის უნარმა გადაარჩინა და შეინახა ჩვენი ქვეყანა, ასწავლა მას „ჭირსა შიგან ქვითკირივით გამაგრება“, ფესვმაგარ ციხეს დაამსგავსა, გაუტეხელსა და დაუმორჩილებელს:

შოთა ნიშნიანიძე, მედეა ჯახიძე, რევაზ ინანიშვილი

თვითონაც მთელი საქართველო
ერთი ციხეა,
დაგილეწია, მტერო, მაგრამ ვერ აგიღია.

სწორედ ამ ციხის ქონგურებზე „მზის შუბოსანი დგას მეციხოვნედ მარადისობა“, ახლა ორიოდე სიტყვა ამ მარადისობის შემოქმედებზე:

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „თევდორე“ ქართული ლირიკის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია, რომელშიც სრულყოფილად არის გამოვლენილი ავტორის შინაგანი ხილვის ლოგიკა და ანალიზის სიზუსტე. ლექსს უძღვის ლაკონური განმარტება მოვლენისა, რომელსაც ეს პოეტური ქმნილება ეძღვნება:

„1609 წელს თრიალეთში გადმოსული თურქთა დიდი ლაშქარი თევდორე ბერს გადაეყარა და მეგზურობა მოსთხოვა, თოვდორემ მტერს გზა-კვალი აუბნია და მიზანს დააშორა. მოტყუებულმა თურქებმა ბერი აკუწეს. ქართველთა ჯარმა დრო მოიგო და მტერი ქვიშხეთთან დაამარცხა“.

თითქოს სათქმელი აღარაფერი რჩება, რადგან, თავისთავად, ამბავია სულის შემძვრელი, რომ ძნელია მისი გამდიდრება ახალი ფუნქციით. ამგვარი ამბის მხატვრულ სამოსელში წარმოჩენის ცდა შემოქმედს პრობლემის წინაშე აყენებს. თუ მისი ქმნილების ემოციური დატვირთვა ფაქტის გავლენის ძალას ვერ გაუტოლდა, მაშინ მწერალი, უბრალოდ ქრონიკის მთხრობელად მოგვევლინება, ამავე დროს, გამკრთალდება ფაქტის პირვანდელი მნიშვნელობაც.

შოთა ნიშნიანიძესთან მოხსნილია ამგვარი საშიშროება. მისი ლექსი შორს სცილდება ქრონიკის ჩარჩოებს და ზოგადად ეროვნულ მნიშვნელობას იძენს.

ლექსის პირველივე სტრიქონები თითქოს იმისათვის არის გამიზნული, რომ მკითხველი რაღაც უცნაურის მოსასმენად განაწყოს, დროებით მოწყვიტოს ყოფით ჩვეულებრივად და გადაასახლოს სხვა სამყაროში, იქ, სადაც მშვიდ მდუმარებაში სიჩუმე გამეფებულა, რომ ამ სიჩუმეში უფრო მკვეთრად გაისმის ღვთაებრივი ხმები.

თრიალეთის ტყეში,
როცა დღეა მშვიდი,
– თევდორეეე!
– თევდორეეე!
ტირის ერთი ჩიტი.

„თევდორე“ – ეს ჩვეულებრივი ადამიანური სახელი უცებ შთამბეჭდავი იდუმალებით იმუხტება და უკიდურესად ძაბავს სმენას, რაღაც განსაკუთრებულის, არაჩვეულებრივის მოსასმენად. დაძაბულობა თანდათან მძაფრდება და გადადის ცნობის წადილში, რომელსაც მცირე შინაგანი პაუზის შემდეგ გულისხმიერად ეხმიანება ავტორის ლირიკული განმარტება:

განა მართლა ჩიტუნაა,
სული არის სამოთხისა...

და რაღაც არაამქვეყნიურთან, ირეალურთან შეხებით გაბრუებული მკითხველი, უცნაური შინაგანი თრთოლვით ლოცვასავით იმეორებს:

სულო, სულო, სამოთხიდან
და განგებამ გამოგხიზნა
...ათასექვსასმეცხრე წელი,
როგორც უპატრონო რაში
ტორებს სცემდა, ჭიხვინებდა,
მთიდან გადარბოდა მთაში...

ასე თანდათან, მთიდან მთამდე ფართოვდება ბოროტების სამოქმედო არეალი, მოახლოებული სიკეთისა და განადგურების სათარეშო ასპარეზი. მკითხველის თვალწინ უნდა გათამაშდეს ღრმა ეროვნული ტრაგედია. მისი გავლენის ძალა უფრო ყოვლისმომცველად რომ წარმოჩინდეს, თხრობაში ძალზე ნაცნობი და ახლობელი, ათასგზის ნაგრძნობი და გააზრებული მშობლიური ხალხური პოეზიის მოტივი იჩენს თავს. ამას უტყუარი აღღოთი გრძნობს პოეტი და ამიტომაც ჩნდება ლექსში ხალხური შემოქმედების ნიმუშის ოსტატური ინტერპრეტაცია:

წმინდა ბერი როცა დადგა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
თრიალეთთან მტერი მოდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

ლექსში ვითარება თანდათან დრამატულ სახეს იღებს:

ქართულ ვენახს,
ქართულ ჯარს,
ქვეყნის ოთხივ მხარეს,
როგორც იატაგანი,
სხეპს თურქული მთვარე.
აჰა, მახვილშუბებით
აზღარბულას ერი,
ჩალმოსანთა მწკრივები
ჰგავს სიკვდილის წერილს.
იწერება სულთანი... იწერება ქადილს
და სიკვდილი ეტრატივით
იგრაგნება ქართლი.

ამ ბარბაროსული შემოსევის შემდეგი უკვე მთელი სიგრძე-სიგანით იგულისხმება. თვალს გადევნებ იავარქმნილ ქართლს და გავერანებულ მამულს. აუტანლად გეტკინება შენი მწარე წარსული, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს მუხლებზე დაცემული, ზეცისაკენ ხელებაპყრობილი შეჰღაღადებ შენი ქვეყნის კიდევ ერთხელ გადამრჩენელ წმინდანად ქცეულ ბერს :

შენ ხარ ვენახი აჩეხილი,
მესიის სურვილი ამხდარი,
ღვთის სახლი, სათნო სახლი დამეხილი,
წაქცეული, დაქცეული საყდარი.
მამაო, გალობა ხარ შეწყვეტილი,
მამაო, სანთელი ხარ დამწვარი,
მამაო, ცეცხლი იყავ სვეკეთილი,
ახლა ხარ ნაცარი...
ლოცვა ხარ ბაგეზე შეყინული.

სიამაყით აზვირთებული მამულიშვილური გრძნობა ეხმიანება საუკუნეთა მიღმა მდგარ, თავგანწირვით გასხივოსნებულ აჩრდილს, მთელი არსებით მიილტვის იქითკენ, რომ როგორ მესა ეზიაროს მას მიწიერ ტკივილში, გაითავისოს მისი ამქვეყნიური განსაცდელი და მოწიწებით სცეს თაყვანი მის ლეგენდად გარდასახვას:

ეს სისხლია, ღვთის კაცო,
ზღვას ქაფად რომ დაგდინდა,
თუ რიჟრაჟმა იფეთქა
ანაფორის ღამიდან.
– ოსანა!
– ოსანა!
მოდგნენ ანგელოზები,
ანაფორის ნაფლეთები მიაქვთ
ავგაროზებად.
გალობაში შეგახვიეს
და შეგმოსეს ლეგენდებით,
თუ გაჭირდა, მტერს და ორგულს
ლეგენდითაც ვეკვეთებით!

აი, ძირითადი სათქმელი, მთავარი მიზანი! სწორედ ეს ამართლებს ყოველგვარ მსხვერპლს, უწყალოდ დაღვრილი სისხლის მდინარეებს, მამულიშვილთა გმირულ თავგანწირვას. მათ წმინდა სახელებს ყოველი განსაცდელის ჟამს ჩვენი ერის ნუგეშად და შთაგონებად გამოიხმობს წარსულიდან.

შოთა ნიშნიანიძის თვალით დანახული მამული მარტო ბრძოლებით იავარქნილი არ არის, ამიტომაც მხოლოდ სევდის მომგვრელი ერთფეროვნებით არ განიცდება მისი ხილული თუ უხილავი არსი.

მაგალითად, აქვე გავიხსენებთ ლექსს – ,,ხევსური“, რომელშიც ვკითხულობთ:

ფიცხობდა, სხიოდა მზის ცხელი
დაირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად
დათვისნაირად,
ღრეობდნენ ხევსურნი და ... ზორბა
ხინკლები
ხელიდან სხლტებოდნენ, როგორც
თხის ჯიქნები.
დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეფინათ
ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ
ხახაში.

ასე ქმნიდა ჩვენი ეროვნული ყოფის, ეროვნული ხასიათის შარავანდედიან სურათს შოთა ნიშნიანიძე, ვის შესახებ დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ, ამიტომ აქ შევჩერდებით დროებით.

კონსტანტინოს კავაფის

სურვილები

(თარგმანი ბერძნულიდან)

ვით ნორჩი სხეულები ადრე გარდაცვლილების,
ცრემლით რომ გამოკეტეს ბრწყინვალე აკლდამებში,
ისე აუხდენელი ის ჩვენი სურვილები,
თავით ბრონეულებით, ფერხთით იასამანით,
ჰგვანან ტრფობის სიამეს ზაფხულის ერთ ღამეში,
ან დილის ბრწყინვალებას მოციაგე მთიებით.

ანთულა სტათოპულუ-ვაფოპულუ

თესალონიკს

(თარგმანი ბერძნულიდან)

შენს ციმციმა, ლურჯ ღამეში მისვამს ჩემი ცრემლი მწარე,
უბედობის ჩემის დღენი შენს უბეში გავატარე.
შენს მშვენიერ სახლებს შორის დავათრევდი სულის ვარამს,
შენთან დამრჩა ყველაფერი, რაც წავგლიჯე ქვეყნად წკვარამს.
შენმა მინამ ჩაიხვია, რაც ძვირფასი რამ გამაჩნდა,
სიყვარულის ტკბილ-მწარე და ჩემი სულის ყველა განცდა.
ჩემი ტკივილების დედავ და სამშობლოვ ჩემთა წყლულთა,
შენს ზღვას მივეც რაც მიყვარდა და ოცნებით რაც რამ მსურდა.
შენ იცოდი ყველა ჩემი შეცოდება და სისუსტე ,
მე კი შენი ყველა ფერი ნექტარივით შევისრუტე.
შენს ტურფა მზის ჩასვენებას ჩავაყოლე ჩემი სუნთქვა,
შენს ვარსკვლავებს შორის ვყლაპე ცრემლი დღეთა უბედურთა.

ოდისეას ელიტის

ღირსეულ არს /სადიდებელი/

(თარგმანი ბერძნულიდან)

ღირსეულ არს ნათელი და პირველი შუქი დღის,
კაცის ლოცვა პირველი, ქვაზე ამოკაწრული;
შეძახილი ცხენ-ირმის, რქებით მზეს რომ მოუძღვის,
მწვანე ყლორტის ღიღინში დილა ამომართული.
მინის მცირე ნაგლეჯი, წყლით გარშემოჯარული,
ნელა რომ იძირება და ყელს მაღლა იღერებს,
ლურჯი ხმების ციაგში, თავი პოსეიდონის,
ქვის მალი ბედაური, წყალი რომ მოაგელვებს.
მოსისინე ქარები, მლოცველები ერთი ხმით,
ტალღებს რომ იტაცებენ ზე, ვით დედა ღვთისმშობელს,
სტვენა-სტვენით რომ მოაქვთ გოდებანი მაღალ მთის,
ქრიან, მოანათებენ გზა-გზა ყვითელ ფორთოხლებს.
ქარიშხალი უხეში, მძიმე განსაცდელებით, –
მორბენლები, შორეულ ცის მილებს რომ კვეთავენ;
უძველესი ერმები[1] წვეტიანი ჩრდილებით
და სანთლის სახელოსნო შავი ჭვარტლის ბოლებით.
მაისტროსი, ლევანტეს, ვორეა და ზეფირი,
ქარი ჩრდილოეთის და ქარი აღმოსავლეთის,
ტრამუნტანა, ევროსი, ტიფონი და ზეკარი,
ჭალიკონი, ბორია, ნიავი დასავლეთის.
ღირსეულ არს ტრაპეზი ქერა ღვინით – მზის სხივით,
სხვენიდან წკაპაწკუპი წვიმის წვეთთა დინების,
ქვიშაზე დარჩენილი სიბრძნის ნაფეხურები,
მცველად – ხელჩაკიდული ზორბა ტალღა-ტინებით.
ღირსეულ არს ჭრიჭინა, ეული მზახრი[2]* მისი,
დაუმცხრალი ჟინით რომ ათასს აიყოლიებს;
ღირსეულ არს ჯვარცმული, შეურყვნელი სინდისი,
ზაფხულივით კაშკაშა, რომ ვერ დაიყოლიებ.

1 მნათობის განსხეულებული ქანდაკება ხელში წვეტიანი კვერთხით.
2 უძველესი ქართული სამუსიკო ტერმინი, აღნიშნავს სამხმიანი სიმღერის პირველ ხმას

ეავან ბოლანდი /ირლანდია/

ღამის კვება

(თარგმანი ინგლისურიდან)

ეს ის დროა, ძილიდან რომ გამოდიან გვირილები,
სარკესავით, წვიმის წყალში არეკლილან ბელურები
და ნელ-ნელა, ფეხაკრეფით მობრძანდება განთიადი,
როცა უნდა დაგვიამდეს ყველა ტკივილი და დარდი.
დიახ, დროა ადრეული, ჩემნაირი ტოროლების
და შენგვარი განძეულის ჩემნაირი მპოვნელების;
უხმაუროდ შემოვდივარ და სიფრთხილით გიყვან ხელში,
გახვეულხარ გამორღვეულ ძველ საცვალში, ვარდისფერში.
პანაწინა, ვარდისფერი პირით რძის ბოთლს ექაჩები,
თითქოს, ამ გზით, შენებურად, ტკბილ სიცოცხლეს ეჭიდები.
რძის ნალექის ბოლო ყლუპიც და შენ ცისფერ თვალებს ახელ,
თითქოს, წყენით სავსე მზერით, ჩუმად სიძუნწეში მამხელ.
დედამიწა იღვიძებს და შენთვის ძილის საათია.
დაიძინე, გენაცვალე, დაგღიღინებ, როგორც იას.
ო, ეს საუკეთესოა, რაც ამ ქვეყნად შემიძლია, –
ვიყო ძიძა თავშესაფრის, სადაც შენი გაგაქვს ლელო,
სადაც შენს ხვედრს უმკლავდები, რომ სიცოცხლე გააგრძელო.

პოლ ელუარი

სალამი, სევდავ!

(თარგმანი ფრანგულიდან)

მშვიდობით, სევდავ,
სალამი, სევდავ,
შენ ამჩნევიხარ ჭერის ხაზებში,
შენ ამჩნევიხარ მე რომ მიყვარს,
იმავ თვალებშიც.
შენ სულაც არ ხარ უბედურება,
რადაც გაქცევენ,
რადგან ყველაზე უსუსურნი, -
ბაგენიც კი, ერთი ღიმილით გაგცემენ .
სალამი, სევდავ,
ზრდილ სხეულთა სიყვარულო, –
თავად ტრფობის ძალმოსილებავ,
რომლის ღირსება, ვით ურჩხული
უსხეულო, წარმოჩინდება.
თვითგანხიბლულო,
სევდავ, მშვენიერო სანახაობავ.

როზალია დე კასტრო

შავი აჩრდილი

(თარგმანი ესპანურიდან)

როცა მგონია, წახვედი ჩემგან,
თავზე მადგება შავი აჩრდილი
და თავად ჩემდა განსაცვიფრებლად,
ეს შენა ხარ და მწარედ დამცინი.
როს წარმოვიდგენ, თითქოს დაბრუნდი,
აელვარდება მზე, ოქროსფერი;
შენ ხარ ვარსკვლავი მკვეთავი ბინდის,
შენ ხარ ხმაური ქარიშხლის სტვენის.
ეს შენ მღერიხარ, თუ ვინმე მღერის,
ეს შენ ტირიხარ, თუ ვინმე ტირის,
წყაროს ჩურჩულის გამოძახილი,
ღამის წყდიადი, სინათლე დილის.
შენა ხარ ჩემთვის და შენ ხარ ჩემში,
შენა ხარ ყველგან, ყველა ხმის კილო...
შენ არასოდეს არ დამეხსნები,
ჩემო მტანჯველო, შავო აჩრდილო.

თარგმანები
რუსუდან გოგბერაშვილისა

„ვეფხისტყაოსნის" ერთი ასოს გამო

„ე" თუ „ი"?

არავის ეგონოს, ერთი უმნიშვნელო მწერალი ახლა რუსთველოლოგის, უფრო ზუსტად კი ენათმეცნიერის სახელს ვეპოტინებოდე! ამას რა გამაბედვინებს!!! უფრო მეტი – თვით ამ შემთხვევაშიც გამოვდივარ არა როგორც მწერალი, არამედ როგორც ,,ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი რიგითი ქართველი მკითხველი.

ჩემი აზრით, პოემის რომელიღაც გადამწერის ან სულაც არამკითხე ინტერპოლატორის მიერ ოდესღაც დაშვებული ენობრივი ლაფსუსი გამოცემიდან გამოცემაში უმტკივნეულოდ მეორდება და მეორდება! ხოლო ჩემი ეს ნასაზრი თუ მცდარი აღმოჩნდება, მაშინ უქმი მოცდენისთვის მკითხველებს წინასწარვე ბოდიშს მოვუხდი, თვალის ამხელებს კი მადლობას შევწირავ.

მაშ, დავიწყოთ!

მკითხველებმა კარგად იციან, რა დაემართება ტარიელს, როცა ნანადირევი დურაჯების გადაცემისას ნესტან-დარეჯანს პირველად დაინახავს.

დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა.

ტარიელი ყველაფერს თანამიმდევრულად იხსენებს.

სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი
უშრეტნი მწვიდიან.

შეშფოთებული მეფე-დედოფალი ტარიელს მკურნალებს დაახვევენ, მაგრამ სასურველი შედეგი არა და არ ჩანს! მერე კი აგერ, რა ხდება.

ზე წამოვჯე. მეფისასა კაცი დია მოვიდოდა.
ახარებდეს: ,,წამოჯდაო", დედოფალი
გამორბოდა;
მეფე მორბის თავ-შიშველი, არ იცოდა,
რას იქმოდა,
იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაი უჩუმოდა.

აქაც ყველაფერი ნათელი და გასაგებია!

ახლა მთელი გულისყურიანობა გამოვიჩინოთ ამ სტროფის გასააზრებლად.

აქეთ და იქით მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია;
მე მოვახსენე: ,,პატრონო, გული აწ უფრო მრთელია;
ცხენსა შეჯდომა მწადიან, ვნახნე წყალნი და ველია.
ცხენი მომგვარეს, შე-ცა-ვჯე, მეფე ჩემთანა მვლელია.

მოყვანილ სტროფში აშკარად შეუსაბამოდ ჟღერს ამ ფორმით ნახმარი სიტყვა – ,,**ვნახნე**".

აქ ტარიელი მეფე-დედოფალს, მაგალითად, თავის ნასიზმრს, რაიმე კოშმარულ წამოლანდებას თუ თავგადანახადს წარსული დროით კი არ აუწყებს – **ვნახნე** ანუ **ვნახე** წყალნი და ველიაო, არამედ ნესტან-დარეჯანის პირველი ხილვით დამეხილი და იმ ქვეყნიდან ისევ ამ ქვეყანას მობრუნებული, მეფე-დედოფალს მხოლოდ თავის **სურვილს** უმხელს: გულგადასაყოლებლად ცხენით გასეირნება მწადიან, რათა **ვნახნო** ანუ **ვნახო** (და არა ოდესღაც **ვნახნე** ანუ **ვნახე**!) წყალნი და ველიაო!.. ხოლო აქ ტარიელი მეფე-დედოფალს თუ მართლა უკვე ნანახზე (**ვნახნე**) ელაპარაკება, მაშინ სრულიად გაუგებარი ხდება ამ ფრაზის – ,,*ცხენსა შეჯდომა მწადიან*" – მიზანი და მოტივი!..

მართლაც, ტარიელს ცხენს მოჰგვრიან, შეჯდება და თან მეფეც აემგზავრება.

მერე კი, როგორც თავის ყველა პერსონაჟს, რუსთაველი ტარიელს ამხელადაც მადლიანი სისადავით ალაპარაკებს.

გამოვედით, მოვიარეთ მოედანს და წყლისა პირსა.

დასასრულ, აქ თვით სათხრობი მოითხოვს: 349-ე სტროფში უნდა იყოს არა ,,**ვნახნე**", არამედ ,,**ვნახნო**".

საინტერესოა, რას იტყვიან პროფესიონალი რუსთველოლოგ-ენათმეცნიერები?

**** ხაზგასმა ყველგან ავტორისეულია (რედაქ.)***

ჯემალ მეხრიშვილი

აშუღ ზეინი

(ბიოგრაფიული მონაცემები)

აშუღ ზეინი – ტოფო სიმონის ძე ბერიძე, დაიბადა ახალციხის მაზრის სოფელ ერკოტაში 1855 წელს. აშუღ ზეინის მამა ღარიბი გლეხი იყო, ამიტომ მან შვილები (ყავდა 4 ვაჟი და ორი ქალი) პატარაობიდანვე გაამოჯამაგიროვა. აშუღ ზეინი 11 წლისა უკვე სოფლის მემცხვარედ ითვლებოდა. იქ სხვა მწყემსებთან ერთად ის შაირობაში ღებულობდა მონაწილეობას, ბოლოს განთქმული მოშაირის სახელიც მოიხვეჭა. აქვე ისწავლა საზის დაკვრა სრულიად დამოუკიდებლად. თავათ უკრამდა საზს, თავათ სწერდა და თავათ მღეროდა.

ერთხელ ბებიაჩემს თავის ოთხი ვაჟიშვილისთვის ოჩხეს თევზი დაურიგებია. ყველიერები ყოფილა. ბებიაჩემს მამაჩემი შვილებში ყველაზე უფრო მიაჩნდა და თევზის დარიგების დროსაც მამაჩემს უფრო მეტ ულუფას მისცემს. ეს ამბავი ძალიან ეწყინება ბიძაჩემს ლუკას, როგორ თუ დედაჩემს ჩემი უნცროსი ძმა უფრო მიაჩნიაო და ძმას ეტყვის: თუ ასეთი კარგი ვაჟკაცი ხარ, ადექ და დამეჭიდე და იქ გამოჩნდება, ვინ იქნება ნამდვილად პატივისცემის ღირსიო. მამაჩემი ბიძაჩემს ჭიდაობაზე დასთანხმდება. შეიბნენ თურმე, სოფლის მოედანზე. მამაჩემს მორიდებოდა, უფროსი ძმა როგორ ნავაქციოვო, ისე კი უგრძნობინებია რომ, ხომ ხედავ, უკვე გძალავო. ამ დროს მამაჩემის მკლავი რაღაც ნაირად მოხვდება ბიძაჩემის ხელებში, აღარ დასზოგამს და მამაჩემს მკლავს დაუზიანებს. მამაჩემი ბევრს ივლის ადგილობრივ ექიმბაშებთან, მაგრამ ვერ მოურჩენენ ნაღრძობ მკლავს და იძულებული იქნება, ადგება და გადავა თათარში, არტაანისაკენ (და იქ ვინმე ფარად უსტა ექიმს ნახამს), ეს ფარად უსტა მამაჩემს მკლავს მოურჩენს და ურჩევს, რაღა გინდა შენს სოფელში რომ დაბრუნდე, აქ ერთი ძალიან მდიდარი ქალია და იმაზე დასიძევდიო. მამაჩემი ეტყვის, – დავსიძევდები, მაგრამ დედაჩემის თანხმობა უნდა მქონდესო. ახლა ნავალ, ავიღებ დედაჩემის ნებას, მერე ჩამოვალ და ყველაფერს მაშინ მოვაწყობო. ამ დროს, თურმე, ბებიაჩემს მამაჩემის შესახებ აღარაფერი სცოდნია და ხერთვისში კამანდირი შეუწუხებია, ესე და ესეა საქმე, შვილი დამეკარგა და დამეხმარეთ, მომაძებნინეთო. მამაჩემიც მოვა ამ დროს და აქედან აღარ წავა. მამაჩემი არტაანიდან რომ მოსულა, უკვე საკმაო სახელიც ჰქონია, როგორც აშუღს. აქვე დასახლებულა, შეურთავს აგარელი მამუაანთ ქალი თეთრაი. მამაჩემს მერე ორი ვაჟი და ოთხი ქალი ვეყოლეთ. ჩვენი ოჯახის ძირითადი შემოსავალი აშუღობის შემოსავალი იყო. მამაჩემის ნახვა ზამთრობით პირდაპირ არ შეიძლებოდა. აწყურიდან დაწყებული ვიდრე ჩილდირამდე და ბაიბურთამდე დადიოდნენ და მღეროდნენ. ბევრჯერ მამაჩემი სხვა აშუღთან ერთად საღამოს ბევრჯერ კიდევ მხოლოდ თვითონ ერთი კაცი ატარებდა საღამოს. მამაჩემი მაშინ თავის ამხანაგებში გამოირჩეოდა იმით, რომ ის თავისგანაც ბევრს ამბობდა. აშუღ ზეინი ხშირად ამბობდა: მე ამ ჩვენს მხარეში დაწყებული აწყურიდან ჩილდირამდე შივღას მეტი არავის არ მეშინიაო. ეს შივღაც ქართველი აშუღი, პრტენელი იყო. იმასაც ბევრი რამ აქვს თავისაგან ნათქვამი.

მახსოვს, მამაჩემი როგორ განიცდიდა პირველი მსოფლიო ომის ატეხვას. ომი ყველაზე მეტად აზარალებს გლეხკაცობასო, ამას გვეუბნებოდა. მან ამ ომზე ლექსიც კი დასწერა, მერე, სამოქალაქო ომის დროს, 1918 წელს, როცა თურქთა ჩათები, განსაკუთრებულად ადგილობრივი თურქებისა, ამხედრდნენ, ჩვენ გავიქეცით, დავდექით ამ აწყურს ქვემოდან ზოვრეთში და მამაჩემიც იქ გარდაიცვალა 64 წლის ასაკში. დავასაფლავეთ ზოვრეთში, მერე, დრო რომ გავიდა, მინდოდა გადმოსვენება, მაგრამ საფლავს ვეღარ მივაგენი და ასე დაიკარგა მისი საფლავიც. მამაჩემი ხალისიანი კაცი იყო, ყოველთვის მომავალზე ქონდა თვალი და მომავლისთვის კი დაიკარგა ის.

ახალ-წლის ღამეს ჯავახეთში

დღესაც დაღამდა, ბიჭებო,
ხვალე სხვა წელი დგებაო,
ცომი მოზილეთ, ქალებო,
და მოამზადეთ ტაბლაო.[1]

დააწყეთ ერთი „ბასილი“[2]
და ერთიც წლისა პურია:
„ბასილი“ წმინდა ბასილსა;
პური კი ჩვენი მხვედრია.

„ხარისა ქედიც“[3] დააცხეთ
და ორიოდე კოკორა;[4]
ცხრილშიაც ქერი ჩაყარეთ,
შემოვიყვანოთ ნიკორა.

წყვილი სანთელიც დაჰქენით,
მივაკრათ ორთავე რქებსა, –
ჭირიმე იმის ქედისა, –
ვნახოთ, სად მიანათებსა!

ქალო, ცეცხლს შეშა დაადე,
აგუგუნ-ალაპლაპდესა;
ცეცხლს ახლო მაშა დააგდე,
დავკრა ჩვენს მუგუზალესა:

„ამდენი ცხვარი და ძროხა,
ამდენი ცხენი, ფურიო,
რამდენიც ემა შეშასა
სცვიოდეს ნაპერწკალიო.

ბიჭებო, როცა ადგებით,
ნუ ივლით ფეხ-შიშველიო;
თორე რა მიდგებ-მოდგებით,
შეგეყრით მინა-მწველიო.[5]

ყიყლიყო არ უნდ მომესმეს,
ისე მოვზიდო „უნძრახი“,[6]
რომ არავისგან მომესმეს,
ხვალე სიცილი და ძრახი.

ქალო, ვიდრე მე მოვიდე,
ზდე ტაბაკს ტყლაპ-კაკალიო:
ცხვარ-ძროხას ხონჩით მივადგე,
არ ეცეთ იმათ თვალიო.

შემდეგ ავიღებ მე ხონჩას,
სანთლებით გაკაშკაშებულს,
სამჯერ მოუვლი ერდო-ბანს,
ბანით ჩავაგდებ წლისა პურს.

რძალო, ადევნე მას თვალი:
ვნახოთ, რა პირზედ დადგება, –
ბედი ან უბედურება
ამ წელს მისგან გაიგება.

თქვენზეც მოვიცლი, ხიზანო[7]
„ასე ტკბილამთაც დაბერდით!“
შენ ნუ მიმტყუნებ, იზანო,[8]
ვინ დავაბერო წინ ალვით;

სახლო, აგცილდეს მონება
თათრისა, მაჰმად რჯულისა;
უფალო, მოგვეც გონება
შენახვის ქრისტეს რჯულისა!

განა რა მიშავს ჯავახსა,
დავიცვა ქრისტეს რჯულიო;
არ მმართებს ვალი სომხისა,
ამით მაქვს დიდი გულიო!

მტერს მეტად მტრულად
ვუყურებ,
ძმა ხომ არ მოსარიდია;
ასეც არ ვიყვნეთ, მოგვთხრიდა,
მეზობლად ხალხი ფლიდია.

ჩვენთვის ლხინიცა ერთია,
ოციოდ სოფლის ჭირიო’
ოღონდ რომ მიძმოს ქართველმა,
არ ამარიდოს პირიო...

ვათავებ ლოცვას, ტყვიასაც
დავახეთქ, დავცემ ძირსაო;
იგი ლახვრათაც სობია
თქვენს ავათ მაწყევარსაო!

ექ. მ – ძე
გაზეთი „ივერია“ N 2, 1893 წელი

1 ტაბლა, ხორაგით სავსე ხონჩა.
2 ბასილი, პურია ადამიანის სახისა. ამ პურს წმ. ბასილის დღეობას აცხობენ.
3 ხარის ქედის მსგავსი პური.
4 კოკორა, კვერია
5 მინა-მწველი – მუწუკია ფეხის გულზე.
6 უნძრახი, ისე ადრე მოტანილი წყალი, რომ მომტანი არავის დალაპარაკებოდეს.
7 ხიზანს ჯავახეთში ოჯახს ეტყვიან.
8 იზანი, ჭკუა-გონება

აშუღ ზეინი (ტოფო ბერიძე)

ლირიკული ლექსები[1]

1

ჰეი, ტოლებო (სწორებო), ჰეი გამჩენო,
ქალის დანახვამ მიჯნური გამხადა,
ჭაბუკობის სიყვარული ჩამვარდნია მე,
სიყვარულმა გონება დაკარგული გამხადა,
წინასწარ მეტყველმაც აღარ დამინდო.
ადგილიდან-ადგილზე მათრია ობოლი,
დარდი მომმატებია, დარდს შევრთობილვარ,
თვითონ დარდი ვარ მე.

სატრფო მომეახლა და
ტკბილის ენით ვიმუსაიფეთ
და ამ საუბარში ვტკებებოდი ვარდის სუნით,
რომელიც ჩვენთა ბაგეთა ფშვინვას
აღმოხდებოდა ხოლმე,
ასე მინდოდა მესუნთქა თვეობით და წლობით,
მესუნთქა სიკვდილამდე,
მაგრამ ჩემი სატრფო
ჩემი გულის მუხანათი გახდა,
არ დამყვა და დარდის პატრონი გამხადა მე.

მე ვტირი და ცაში ვარსკვლავებმაც გაიგეს ეს,
მე ვფიქრობ და ასე ვამბობ:
ბედის მწერალმა სანუგეშო წიგნი
რად არ დასწერა ჩემთვის
და მე ობოლი ზეინი
რისთვის გამხადა დარდის პატრონი.

2
(ბნკარედი)

ჭაბუკობისას ერთი მედგარი თუ ეშხში ჩავარდა,
მისთვის წერა ოხვრა იქნება
და ეს დაამშვიდებს მას,
სიყვარული ორის თავდავიწყებული თამაშია,
სიტყვა და საზი უფრო კარგად გრძნობს
კაცთა სიყვარულს.

ვინ გასწევს სიყვარულის ამდენ დარდს,
ვინ მოუტანს გულებს გაზაფხულს და ზაფხულს,
თუ არ საზი და სიტყვა.
საყვარლის გული რომ ვიცოდე,
გული დამიმშვიდდება,
სიტყვას საზი უკეთესად გრძნობს
და საზს – სიტყვა.

მე ვტირი და ცაში ვარსკვლავებმაც გაიგეს ეს.
ბედის მწერალო,
რად არ დასწერე სანუგეშო წიგნი ჩემთვისაც,
ო, მე ობოლი,
ღარიბი ზეინი
რისთვის გამხადე დარდის პატრონი.

3
(ბნკარედი)

დრომ შემისრულა ოცი წელი,
მოვიდნენ მკურნალნი
და ჯარში გამწერეს სამსახურისათვის.
გადაგვისროლეს დივანში არა სასურველ
საქმეზე,
იმ ურჯულოთ არავის შევბრალდი.

ფრინვა-ფრინვით გადამატარეს თოვლიანი მთები,
ამ ჯეელობის დროს დრომვე შემალბო,
შორსა ვარ უკვე და სამშობლო ვეღარ მიხილავს,
მენატრებიან ძმები და რძლები,
ჩემი ჩვილები.

მეგობრებო, თქვენ მაინც მომიგონეთ,
ორ ჩჩვილს დავეძებ და ვერსად ვნახე,
ოი, მაღალო, ჩემთა ნაშიერთ ნუ მისცემ ტკივილს,
ოი, ხიდრიელა, განსაცდელისაგან დამიფარე შენ.

სად არის შენი ტკბილი ძუძუ, ძვირფასო დედა,
გულზე მიხუტებული
და ტკბილ ხელებით ატატებული,
სად არის შენი შვილი, ძვირფასო დედა...
დღეები წასულან, ასს ვითვლი უკვე,
შენი ალექსანდრე სალექსე გამხდარვარ,
რა მინდა რუსეთში,
რად არ ისურვეს შენი შვილის შენთან დარჩენა?

1 ბნკარედები ყველგან თარგმნილია შოთა ლომსაძის მიერ

პაოფ ზაზაძე (ფაქტაი)

***

ათას ცხრაას წელს
ერთი ცოდვილი მეც ვარ,
წვიმა თუ არ მოვა, გვალვა იქნება.
გვიან გაშლილი ვარდი ვარ მე.

ბევრი აშუღი მოკვეთილა,
სიტყვის ოსტატი.
გონია, რომ მარტო მე ვარო,
როცა იტყვიან, რომ ჰექტაი ნაკლები არაა,
ზეცის სასწორი ვარსკვლავია.

ჩვენ გვეგონა, რომ ზუსტია,
ლექსის უთქმელი აშუღი,
მეჯლისის მაწყენარა
(შემარცხვენელია)
სწორე გზაზე წამსვლელი.

ბოლოს კარგ ადგილზე მიდის,
ამნაირი ადგილი მეფისა არ არის,
ორმოცდაათი სამოცი რომ იყოს,
ასი მაინც არ იქნებაო.

***

სარწმუნოება დაკარგე,
დედა ღვთისმშობელი,
იმისი მადლი
გაგიწყრეს შენ.

მაღალმა შენ დაგადნოს,
უნამუსოთა დაგინახონ და
შენგან შერცხვეთ,
შვიდ წელს ლოგინად ჩავარდი,
გვერდები დაგილპეს,
ჩამოცვივნილ ჩიქით,
სავსე იყოს.

სულ თავი არ მოუდაბლე სარწმუნოებას,
ღმერთის გზას.

რა მალე გაყევი ეშმაკის გზას.
ერთი დღე მოვა
დარჩები უბედურებაში,
ყოველ დღე შენთვის
უბედურებად გადაიქცეს.

***

ღარიბი ნიკო მოკვდეს,
შენ რა დაგმართოს.
ზემოდან არ დაგებუროს,
მუცელი არ გაგიძღეს,
არც ერთ ერის საფლავში
შენ არ მიგიღონ.

ვერ ნახე ხეირი,
ტკბილი სიცოცხლისაგან
ნეტავ როგორ დატოვე,
ეგ ჩჩვილი ბავშვები –
მაგდანა როგორ მიატოვე,
ძველი საყვარელი.
ახალ შეყვარებული გყავს,
იმასთან იყავ.
ჰექტაი სიტყვას უბრალოდ არ იტყვის,
ყველა ადგილს ილაპარაკებს ვაჟკაცზე.

რაც უნდა ვილაპარაკოთ
გლახა კარგი არ გახდეს.
ათასში კარგი არასოდეს არ გახდება.

***

გაღმა გავალ გამოგიტან ქოშებსა,
დღიდან დღეზე მოგიმატებ გროშებსა.

*

გაღმა გავალ გამოგიტან ატამსა,
ჯერ მოგნათლამ, მერე გეტყვი ნატასა.

*

გაღმა გავალ გამოგიტან ბეჭედსა,
შალს გიყიდი, დაგიმშვენებ ბეჭებსა.

*

გაღმა გავალ, გამოგიტან თუთასა,
ჯერ გაკოცებ, მერე გეტყვი ნუცასა.

*

ჰერი, ჰერი, ჰერისკენა,
ჩვენ წავიდეთ ველისკენა.
თეთრი, წითელი ღვინო ყელისკენა,

(ჩამწერი ნიკოლოზ ზაზაძე)
გიორგი ლეონიძის სახელობის თბილისის ლიტერატურის მუზეუმი,
სლმ: 018090 – N22299-K

შოთა ლომსაძის პირადი არქივი

ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის

ასპინძის ომი

(დამოკიდებულების გამწვავება ერეკლე მეფესა და ტოტლებენს შორის)

ზაქარია ედილაშვილი (ედილი)

(გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში)

მაგრამ უკეთესია ამ ამბის შესახებ თვით ერეკლე ავალაპარაკოთ: „მთელი წელიწადია რაც ტოტლებენი აქ არის, მაგრამ აბა გულზედ ხელი დაიდოს და სთქვას, რა გააკეთა ამ ხნის განმავლობაში. ჩვენ არაფერს არ ვხედავთ, იცის, რომლითაც კი მას სამსახური გაეწიოს მისი იმპერატორის უდიდებულესობისათვის. გარნა მისი დამსახურება იმაში გამოიხატება, რომ რუსეთის სიყვარულით აღვსილი ხალხი იმპერატრიცას წინააღმდეგ აამხედროს, გზაზედ გადაეღობოს ყველა იმას, ვინც კი მიისწრაფის თავი შესწიროს იმპერატრიცას სამსახურს და პატიოსნებითა და კეთილგანძრახული სავსე საქციელი ხალხისა ბოროტად გამოაცხადოს: თქვენო ბრწყინვალებავ, გვიბრძანეთ, რა მიზანი უნდა გვქონოდა ტოტლებენის ცუდის მოქცევისთვის? როცა მტრის ქვეყანაში მარტოთ-მარტო მიგვატოვა და თითონ უკან გამობრუნდა. ჩვენ ის ჩავთვალეთ იმპერატრიცას უღირს ზიანათ და მოღალატეთ. და როცა ამ უღირსი საქციელის შემდეგ ის ჩქარი ნაბიჯით გაემართა ანანურისაკენ, ჩვენ ძალზედ შევფიქრიანდით და გვეგონა ტოტლებენს განძრახვა აქვს უკანვე, რუსეთში წაიყვანოს ჯარი და ამისთანა საშიშ დროს თავი დაგვანებოს, ამიტომ ჩვენ საჩქაროდ შევერივეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) დიდებულნი, მოვინვიეთ აქ მყოფნი რუსებიც, ვიმსჯელეთ და ასე დავადგინეთ, ტოტლებენი დავაპატიმროთ, ხოლო ჯარი აქ დავტოვოთ იმპერატრიცის განკარგულებამდე“.

ეს ამბავი, რასაკვირველია, ჩქარა ტოტლებენამდისაც მისწვდა, მით უმეტეს, რომ ის დახურული კრება არ იყო და მას ქართველების გარდა რუსებიც დაესწრნენ.

ტოტლებენი ეხლაც კი ჭკუაზედ მოვიდა. ძალიან შეშინდა. ამ გადაკარგულს ქვეყანაში ისეთივე დღე დასდგომია, როგორც ასპინძაში დააყენეს ქართველებმა ოსმალებს. შეშინდა და აღარ იცოდა, საით გასცლოდა ერეკლეს. სწორედ ამ დროს მის კორპუსს მიემატა რუსეთიდგან პოლკოვნიკ კლავერის ახალი ჯარი. შეშინებული ტოტლებენი უცებ აიყარა, გაშორდა ერეკლეს და იმერეთის გზას გაუდგა. ეს მეოთხედ გადავიდა ტოტლებენი იმერეთისკენ. ალბათ, ეხლა გაახსენდა, რომ იმას ნაბრძანები ჰქონდა (ინსტრუქციით) ყურადღება მიექცია შავის ზღვის სანაპიროებისათვის, იქ უნდა ნავთსადგურები და სხვა სიმაგრეები დაეპყრო და ასე ევლო თვინიერ ტრაპეზონამდე“. იქ იმედი ჰქონდა, სოლომონი დაეხმარებოდა, ჯერ იმერეთის ციხეებს აიღებდა, სადაც ოსმალეთის მეციხოვნე ჯარები იყო გამაგრებული და მერე შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაილაშქრებდა.

იმერეთის საზღვრიდან ოცის ვერსის სიშორეზედ, მას დაუხვდა სოლომონ მეფე თ.ვალიშვილებით და ბაღდადის ციხის ასაღებად გაილაშქრეს. სამი საათის ალყის შემდეგ, ციხე დანებდა, რადგან ციხეში სულ 30 მეციხოვნე იყო და რა გამაგრება შეეძლო მათ ტოტლებენის ზარბაზნებთან. ციხე საღამოს გადაეცა, მაგრამ ტოტლებენს რომ ნადავლი არაფერი ერგო, ძალიან განაწყენებული იყო. საჩქაროდ კაცები გაგზავნა ნაღვლის გასაყრელად, მაგრამ მისულებში უთხრეს, არავითარი ნადავლი იქ არ არისო. ტოტლებენმა არ დაუჯერა იმათ, შეჯდა ცხენზედ და იქით გაექანა და რაკი ნახა, რომ ციხიდგან გოდრები გამოჰქონდათ, მიუბრუნდა იქვე მდგომ სოლომონს, მიაფურთხა და უკანვე გამობრუნდა. ტოტლებენს მოეჩვენა, რომ გოდრები განძით სავსე გამოჰქონდათ და მე კი წილი არ დამიდესო. სოლომონმა საშინლად შეურაცხყოფილად ჩასთვალა თავისი თავი, უკანვე შეატანინა გოდრები და ცეცხლი მოაკიდებინა. ცეცხლი ჩქარა მახლობლად მდგომ ხის შენობასაც წაეკიდა და მთელი ხანძარი დატრიალდა, ეს მცირე ეპიზოდი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ ის ნათლად ახასიათებს ტოტლებენის ანგარების მოყვარეობას.

აქედან ტოტლებენმა ქუთაისისაკენ გაილაშქრა და მის ციხეს ალყა შემოარტყა. მეციხოვნები მარჯვედ დაუდგნენ, 80 კაცი მოუკლეს ტოტლებენს და ღამით ისე ჩუმად გამოაპარეს, რომ ერთი კაცის ზარალიც არ მოუვიდათ. ციხეში დარჩნენ მხოლოდ მოხუცნი და ბავშვები. ეს ციხიდან გამოსული ღარიბ-ღატაკი ხალხი ისედაც შიშველ-ტიტვლები, მთლად გააცარცვინა ტოტლებენმა. ქალებს, ვისაც კი გააჩნდა ბეჭდები, წაართვეს ხელებიდამ, ტანისამოსი მთლად გახადეს და მარტო საცვლების ამარა-ღა გაუშვეს ეს ხალხი. ყველა ეს ნაცარცვი წააღებინა და მიითვისა.

ვიდრე ტოტლებენი ამ ამბავში იყო და შერყეული ავტორიტეტის გამოსწორებას ვითომ ცდილობდა, პეტერბურგში უკვე მიახწია მისმა ნეტარ ჩინებულმა მოხსენებამ, რომელშიც ის ატყობინებდა თავის გადაწყვეტილებას საქართველოს დაპყრობის შესახებ. ამ წერილების მიღებამ ძალიან შეაფიქრიანა პეტერბურგი, ისინი ხელდახელ დაფაცურდნენ, საქმის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ტოტლებენი ყოველ საზღვარს გადადიოდა და ძალიან შორს მისტოპავდა. მისთვის არავის ბრძანება არ მიუცია ერეკლეს დაჭერისა და საქართველოს შემოერთებისა. იმას მხოლოდ და მხოლოდ დაბარებული ჰქონდა, ქართველთა მეფეების დახმარებით დივერსია მოეხდინა ოსმალეთში და მეტი არაფერი. მისმა ამგვარმა ნაბიჯმა მთლად გააკვირვა პეტერბურგი, იჩქარვიდნენ, რომ ტოტლებენს სისრულეში არ მოეყვანა თავისი გადაწყვეტილება-მუქარა. ეს მით უფრო საჩქარო იყო, რუსეთის წარმომადგენელი საქართველოს კარზედ კნ. მოურავოვიც საჩქაროდ ატყობინებდა, რომ „საქართველოს საქმეები მეტის-მეტად აინეწ-დაინეწაო ტოტლებენის თვითნებობისაგან“.

საჭირო იყო საჩქაროდ გაგზავნა კარგის გამოცდილის და დახელოვნებულის ადამიანისა (საქმის გამოსარკვევად და წესიერების აღსადგენად რუს-ქართველთა დამოკიდებულებაში. ასეთ პიროვნებად მიჩნეული იყო თვით იმპერატრიცას ამორჩევით სემიონოვის პოლკის კაპიტანი იაზიკოვი. იაზიკოვს საჩქაროდ გაუმზადეს იმპერატრიცის ორი გრამოტა, პანინის ორი მიწერილობა და სხვადასხვა ინსტრუქციებით და დარიგებებით დატვირთული 1770 წლის ივლისის შუა რიცხვებში რუსებმა საქართველოს გზას გაუყენეს.

ეკეტერინეს ორი გრამოტა დანიშნული იყო ორი სხვა და სხვა შემთხვევისთვის. პირველი იმისთვის, თუ ვინიცობაა ტოტლებენს უკვე სისრულეში მოეყვანა თავისი გადაწყვეტილება, უკვე დაპყრობილი ექნებოდა საქართველო და მეფე ერეკლე სამშობლო ქვეყნიდან გაძევებული, მაგრამ თუ ხალხი არ ჰყაბულდება და აბა ტოტლებენთან რამე საერთო საქმე ჰქონდეს, მაშინ იაზიკოვს ისევ უნდა აღედგინა ერეკლე თავის სამეფოში, დაებრუნებინა ეკატერინესაგან ანდრია პირველწოდებულის ორდენი და დაეიმედებინა ჩვენს წყალობაში. მაგრამ თუ ტოტლებენს თავისი ძრახვანი სისრულეში არ მოუყვანია და მასთან შეუთანხმებლობის გამო ოსმალეთზედ გალაშქრება ვერ მოხდება, იაზიკოვი უნდა ცდილიყო, როგორმე შეეთანხმებინა ისინი, აღედგინა ნორმალური დამოკიდებულება მათ შორის და შეერთებულის ძალ-ღონით დივერსია მოეხდინათ ოსმალეთში.

გრაფი პანინი კიდევ თავის მხრივ ატყობინებდა ტოტლებენს, რომ მაგ ქვეყნის შემოერთება ჯერ-ჯერობით სასურველი არ არის ჩვენთვისო, მისი სიშორობისა და უგზოობის გამო არ გამოვაო., შესაძლებელია ახლო მომავალში ეს უხერხულობა რამე ნირად იქმნეს დაძლეულიო და გაადვილდეს მაგ ქვეყნების შემოერთებაო, მაგრამ ეხლა კი ჩვენი მთავარი მიზანია ქართველები ამ ომში მოგვეშველნონ იმ გვარად, რომ ხელმძღვანელობა და უფროსობა ჩვენი იყვეს, ე.ი. სული ჩვენი, ხორცი ქართველებისა. ეს იყო ერთადერთი მიზანი თქვენის საქართველოში გაგზავნისა და აი სწორედ ამას უნდა ემსახურო და პირნათლად შეასრულო იგიო“.

1770 წლის 23 სექტემბერს იაზიკოვი უკვე საქართველოშია, მაგრამ ტოტლებენი აღარ დახვდა ანანურში, მეფე ერეკლეც სხვაგან იყო წასული ორის დღის სავალზედ, საომრად და იაზიკოვიც იძულებული იყო პირდაპირ იმერეთში წასულიყო, სადაც იმ ჟამად ტოტლებენი ეგულებოდა ქუთაისში.

საქართველოში ჩამოსულმა იაზიკოვმა მიიარ-მოიარა მთელი საქართველო, ნახა ორივე მეფე, გაეცნო გულდასმით მთელი საქმის ვითარებას და ვრცელი მოხსენება გაუგზავნა ეკატერინეს, რომლის მოკლე შინაარსიც აქ მოგვყავს:

მისვლისთანავე იაზიკოვი გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ ჯარს სრულიად საკმარისი ჰქონდა პურიც და ხორციც. ტოტლებენი კი

დაჟინებით სულ იმას გაიძახოდა, რომ სურსათი მაკლიაო. იმაზედაც ხომ განსაკუთრებით იწერებოდა, რომ იმათ თავიანთი თავიც ვერ გამოუკვებიათო და ჩვენს ჯარს საიდგან შეინახავენო. ეხლა კი ჰხედავს, რომ სწორედ ტოტლებენისგან მასხრად აგდებულია, იმერეთი სავსებით აკმაყოფილებდა რუსის კორპუსს სანოვაგით. აშკარა იყო, რომ ტოტლებენი ერთავად სტყუოდა და თვალთმაქცობდა. ტოტლებენს ალყა აქვს შემორტყმული ფოთის ციხისთვის, სადაც ოსმალეთის მეციხოვნე ჯარია კარგად გამაგრებულ-შეიარაღებული. ტოტლებენი მარტოთ-მარტო იბრძოდა სხვათა დაუხმარებლად. ყველასთან წაჩხუბებულია და არც მეფეებს და არც თავადიშვილებს ახლოს არ იკარებდა. ერეკლეს ხომ არაფრის დიდებით არ შეურიგდებიო, – გაიძახოდა და მისი სახელის გაგებაც კი არ უნდოდა. მოვახსენე, რომ აქედან მე პირდაპირ ერეკლესთან უნდა წავიდე და მითხარი, რა არის საჭირო, რომ მეფეს გამოვსთხოვოვო. იმან მიაძახა, მიბრძანდიო და ჩემს პასუხს სურამში მოგართმევთო. მე წავალ, მეგონა მოიფიქრებს და მართლა ხეიარიან რასმეს შემატყობინებს მეთქი, მაგრამ დახეთ ჩემს გაკვირვებას, წერილით იმასვე მატყობინებდა, რაც სიტყვიერათ ათასჯერ მითხრა, ე.ი. ერეკლეს არასგზით არ შეურიგდებიო. გამოტეხით უნდა გითხრათ, რომ ტოტლებენის გულის წადილს მე კარგად მივხვდი, იმას უნდა მარტოთ-მარტო იომოს და ტყუილი და სახელი და დიდება მოიხვეჭოს, მაგრამ საუბედუროთ, არაფერი არ გამოსდის, ფოთიდანაც და ქუთაისიდანაც სულ ტყუილ-უბრალოთ დიდძალი მსხვერპლი გაიღო. ასეთი საქმე კი არ მოუვიდოდა მეფეებთან შეთანხმებით, რომ ეწარმოებინა ბრძოლა. მეფეებთან არაფერი საერთო არა სურს იქონიოს და აი სწორედ აქ არის მისი უბედურება. ერეკლემ თურმე რამდენჯერმე შეუთვალა, ნება მომეცი შენთან მოვიდე, დავანებოთ თავი ურთიერთუსიამოვნებას, მოუცადოთ იმპერატრიცასაგან განკარგულებას და საერთო ძალით ეხლავე გავილაშქროთ მტერზედო. მაგრამ ტოტლებენი გაჯიუტდა და არაფრის დიდებით არ გაჰყვა. აქედან აშკარაა, რამდენად მუყაითია და ერთგული რუსეთისა ერეკლე მეფე. უკმეხმა და ჯიუტმა ტოტლებენმა ზდილობიანი პასუხიც კი არ გასცა და ასე შეუთვალა თურმე, რომ ჩემს სიცოცხლეში შენთან არავითარ საქმეს არ დავიჭერო. რა უნდა ექნა ერეკლეს, უამისოდ კი სრულიად უმნიშვნელო ციხეების აღებაც კი შეუძლებელიაო. ამის შემდეგ მეგონა ერეკლე დიდათ განაწყენებული დამხვდებოდა და დიდი დრო დამჭირდებოდა იმის დაყოლიებაზედ, მაგრამ საკვირველია, ისე ბრმათ მინდობილია ჩვენს იმპერატრიცაზედ, რომ ყველაფერზედ ხელდახელ თანხმდება, ტოტლებენი კი მიუხედავად იმპარატრიცასი და პანინის ბრძანებისა, გამდგარია და ჯიუტობს, არას გზით მეფეებთან მორიგება არა ჰსურს. მაგრამ გინდაც მორიგდეს, მე დარწმუნებული ვარ, ეს მხოლოდ გარეგნობით იქნება, რადგან ორივე მეფე იმ ზომამდის სიარულს, რომ თავის ღვარძლიანი გულიდან ვერას დროს ვერ მოიშორებს იმათ სიძულვილს. იმედს მაინც არა ვკარგავ, ვეცდები ისე მოვაწყო საქმე, რომ გაზაფხულზედ გავილაშქროთ ახალციხეზედ. ახალციხე კიდევ ოსმალეთისაა და აქედან შარა გზა მიდის ოსმალეთისაკენ.

ვიმეორებ, მიუხედავათ პეტერბურგიდან ბრძანებისა, რომ საქართველოს მეფეებთან ერთად გაილაშქრონ ოსმალეთზედ, ტოტლებენი მიუხედავად ჩემის მეცადინეობისა და დაჟინებით მოთხოვნისა, არც ერთს მათგანს ახლოს არ იკარებს და ცალკე მოქმედებს. იმერეთის მეფე სოლომონი, რომელსაც ჯარი შეეკრიბნა და ფოთში უნდა შეხვედროდა, ახლოს არ გაიკარა, პირიქით, ლანძღვის წერილი მისწერა, რომელშიაც მას უსულო თათარს უწოდებდა, ერეკლე მეფეს კიდევ გამუდმებით მოღალატეთ იხსენიებს. ორთავ მეფეს საჯაროთ ლანძრავს და უკანასკნელ ჯარის კაცად სთვლის. ყველაფერს ამაებს მეფეები ჯაშუშობის წყალობით გებულობენ. ყველას, დიდსა და პატარას, ჭირივით სძულს ტოტლებენი და გინდაც მეფეებთან ერთად გაილაშქრონ, ტოტლებენი მათ დღე და ღამ მოსვენებას არ მისცემს. თუ გრაფი კიდევ აქ დარჩა, მომავალის კომპანიიდან არავითარი სახეობა არ გამოვა. მიუხედავათ ინსტრუქციის ბრძანებისა, ის თავისას არ იშლის და არავის რჩევა-დარიგებას არ იღებს. ყველას უხეშად გვექცევა. აქაური ხალხი მხოლოდ შეურაცხყოფილი და მონდურებული ჰყავს და მე მგონი ისინი მორჩილნი

აღარ არიან ჩვენი აქ ყოფნისა. ტოტლებენმა შეგვარცხვინა და სახელი გაგვიტეხა აქაური ხალხის თვალში არა თუ სიყვარული და პატივისცემა მოგვიპოვა. ეხლა აქაურები ისე მხიარულად და აღფრთოვანებით აღარ გვეგებებიან ხოლმე, როგორც წინეთ.

განუსაზღვრელია ერეკლესი და სოლომონის სიყვარული და მონდომება იმპარეტრიცისადმი, ისინი მზად არიან ყოველ წუთში მტრის წინააღმდეგ გაილაშქრონ. მარტო ერეკლეს შეუძლიან 17000 ჯარის კაცის გამოყვანა. მაგრამ რას იზავ, ერეკლემ ჩემის

თანდასწრებით ტოტლებენს დრო დაუნიშნა შესახვედრად და მოსალაპარაკებლად 24 ნოემბერი, ქ. გორში, მაგრამ ტოტლებენმა არ ინება მისვლა, თუმცა ვითომ განსაკუთრებით კაციც გაუგზავნე წერილით და დაბეჯითებით ვსთხოვე მოსულიყო. ტოტლებენი ამ ჩემის თხოვნითაც არ მოლბა, ერთი ბეწო პატივიც არა მცა. ის ისეთი ჯიუტი და ბოლმა კაცი ყოფილა, რომ რასაც ერთხელ აიჩემებს, ვერასგზით ვეღარ გადასთქვამს. ორთავე მეფეები ავაზაკები არიანო, გაიძახის დაჟინებით და მაგათთან საერთო არაფერი არ მინდაო. აი, ერთხელაც, სდგას ფოთის ციხესთან, ვითომ ალყა აქვს შემორტყმული, მაგრამ ძვრასაც კი ვერ უშვრება ციხეს და ტრაბახით კი ქვეყანას აყრუებს, დღე-დღეზე ავიღებ ციხესაო და კუდსა მოვაძუებინებ ოსმალებსაო. ბედშავს ტოტლებენს ბევრი არაფერი სცოდნია სამხედრო ტაქტიკისაც, ფოთის ციხეს ისე მისდგომია, რომ წინასწარ არც კი შეუსწავლია მისი ადგილმდებარეობა, მისი კედლების გამძლეობა, სიმაგრე და ისე პირაღებით მისდგომია და ტყუილ-უბრალოდ უშენს ციხეს. ჯარი ისეთს ადგილას უყენია, რომ მტრის ტყვია ადვილად ხვდება და დიდ ზარალს აძლევს, მას უკვე ას კაცზედ მეტი მოუკლეს, მტრის ზარალი კი მხოლოდ ხუთის კაცით განისაზღვრება. ადგილობრივი ძალების დაუხმარებლად ის ციხეს ვერასგზით ვერ აიღებს და ტყუილად ხარჯავს ისედაც უკვე შემცირებულს ტყვია-წამალს. თვით სოლომონ მეფე ეხლა თავისი ჯარებით ფოთშია, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, მაგრამ ახლაც არ გაიგონა და უბძანა, შენს სამფლობელოდან ფეხიც არ გადადგა ფოთისკენო. ტოტლებენი ისეთი გაქნილი და მიუღებელი კაცია, რომ ყოველი ცდა მასთან გარიგებისა, ამაოა, მე მაგასთან ათასი რომ ვცადო, ვერაფერს გავხდები. ეგ იმას კი არ ცდილობს, მეფეებს შეურიგდეს, არამედ იმას, რომ ორივე ერთმანეთს ნაჰკიდოს.

ჯარის კაცებსაც საშინლად ცუდათ ექცევა, ხშირად სურსათის მაგივრად 5 კაპიკს აძლევს დღეში, რითაც კაცი აქ თავს ვერ შეინახავს. მის გამო ჯარის კაცნი (ფოთში მდგომის დროს) სიმშილობენ, ავად ხდებიან და სივდებიან. ჯარი ჩაუცმელ-დაუხურავია, ბევრი სრულად ფეხშიშველაა და დაკონკილი, დაკემსილი ტანისამოსი ძლივს უფარავს სხეულს. არასდროს რუსეთის ჯარი ასეთი გაჭირვებული და პარანოიკული არა ყოფილა, ყველა ეს ხდება ტოტლებენის მოუწესრიგებლობის და უთადარიგობისაგან. კარგის მოქცევით და დაყვავებით კაცი აქ ყველაფერს იშოვი,ს ჩხუბით და აყალმაყალით კი ვერაფერს გახდებით და მშიერი დარჩებით. როცა ტოტლებენმა გააბრაზა სოლომონი და თათარი უწოდა, სწორედ მაშინ მიიღო ჩემი წერილი, ვთხოვდი, ქართლიდამ მოვდივარ და იმერეთის საზღვარზედ ცხენები გამოეგზავნა ჩემთვის, მაშინ სოლომონს შემოეთვალა: – რადგან მე თათარი ვარ, არც ერთის რუსისთვის ცხენი არ მყავსო. ტოტლებენი მთელი წელიწადია აქ არის და ამ ხალხის ხასიათი ვერ გაუგია და ვერ შეუსწავლია.

ტოტლებენი აქ მარტოთ მარტო თავის საშოვრისთვის არის მოსული, ამიტომ არ იკარებს არც ერთ მეფეს, მარტო თითონ სურს ქალაქები აიღოს და ნადავლით გაივსოს. ტოტლებენის სიხარბეს და ანგარებას საზღვარი არა აქვს, ის არაფერს არ თაკილობს და ამითი ჩირქსა სცხებს თავის ხალხს და ხალხის თვალში სახელს უტეხს მთელს რუსეთს. ქუთაისის ციხის აღების დროს რაღა არ იკადრა. ციხიდან გამოსული უიარაღო ხალხი, უმთავრესად მოხუცები და ბავშვები, მთლად გააცარცვინა, ბეჭდები წააძრობინა ხელებიდან, ტანს გაახდევინა და მარტო საცვლის ამარა გაუშვა. ყოველივე ნადავლი ტოტლებენმა თავისთან მიატანინა და მიითვისა. ამასთანავე, ციხეში ცოტა რამ ქონება ხალხს მიწაში რომ დაემალა, ტოტლებენმა მოაყვანინა ჯარი და იმდენი აცემინა ჯოხებით, რომ სულ თავ-პირი ჩაამტვრია. ასეთი ბარბაროსული საქციელი ოსმალეთის ჯარშიაც კი იშვიათი მოვლენაა.

ტოტლებენის მიერ აღებული ციხეები, შორაპანსა და ბაღდადს, რომლის შესახებაც ასე ჰყვირის და ტრაბახობს, არაფერს არ წარმოადგენენ. თითო მათგანში გამაგრებული იყო 30 მეციხოვნე ოსმალი და მეტი არაფერი. რუხში კიდევ არცერთი ოსმალო არ იყო.

ტოტლებენი ჩემის მოსვლით კორპუსში ძალიან განაწყენებულია. გამოტეხილად უნდა ვაღიარო, რომ ის არავითარ თქვენს ბძანებას და ინსტრუქციებს არ ასრულებს, ჩემს რჩევა-დარიგებას ხომ ახლოსაც არ იკარებს, აღრენილია ჩემზედ და ყველაფერზედ უკმეხად მპასუხობს. არა სურს რომ მე იმის კორპუსში ვიყო და თვალყურს ვადევნებდე იმის მოქმედებას. მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ტოტლებენის ჯიუტობისა და უქნარობის გამო ჩემი მისიის შესრულება არ ძალმიძს და ჩემი აქ ყოფნა ზედმეტად მიმაჩნია.[1]

ტოტლებენი ყარყუმისავითა სდგას უმოძრაოთ ფოთთან, ამაოდ გასცქერის ციხის შავს კედლებს, ამაოდ ხარჯავს ტყვია-წამალს. ციხე არ ნებდება, იმას ძვრა არა აქვს, მის სქელ კედლებს ტოტლებენის ალყა ვერაფერს ვერ აკლებს. ოსმალეთის მეციხოვნე ჯარი კი არხეინად არის, სურსათიც საკმარისი აქვს და ტყვია-წამალიც. როცა იქნება ოსმალეთი მოეხმარება და სულ კუდით ქვას ასროლინებს ტოტლებენს. გრაფმა ინაღვლოს, რომ სურსათიც აკლია, ტყვია-წამალიც ჩქარა გამოელევა. შემომწყრალი ქართველთა მეფეები მას დახმარებას არ მისცემენ და ტყუილად აქვს იმედი ციხის აღებისა. ბუნებაც კი არ სწყალობს ტოტლებენს, მისი ჯარები ისე უწყალოთ ნადგურდებიან ამ ჭაობიანსა და ციებიანს ადგილებში, რომ სულ ჭერეხევითა ჰყრიან ლაზარეთში. ჯარები ჩაუცმელ-დაუხურავია, ცხენებიც 412 ცალი აფხაზეთში გარეკეს და ცარიელზედ დასტოვეს.

როცა ტოტლებენი ასეთს გაჭირვებაშია, ოსმალეთი 12000 ჯარს ამზადებს ფოთში გამოსაგზავნათ, მეციხოვნე ჯარის დასახმარებლად. ოსმალეთს გადაწყვეტილი აქვს არაფრის დიდებით ფეხი არ მოაკიდებინოს რუსეთს შავი ზღვის სანაპიროებზედ. იმერეთში უკვე დიდი ხანია გაგებული აქვთ ოსმალეთის ეს მუქარა, ტოტლებენსაც შეატყობინეს, მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყავს.

სოლომონ მეფე რა დარწმუნდა, რომ ტოტლებენს ვერაფერს გააწყობს, საჩქაროდ იხმობს პოლკოვნიკ იაზიკოვს, რომელიც მაშინ ხონში იმყოფებოდა და იმას უმხელს ოსმალეთის მზადების ამბავს. სწორედ ამ დროს, იაზიკოვის იქ ყოფნის დროს, მეფის კარად მოვიდა გურიის მთავრისაგან (თავდგირიძე) გამოგზავნილი კაცი და შეატყობინა, რომ ბათუმიდან უკვე გამოსულია თათრის ჯარის კაცი ორი ფაშის წინამძღოლობითა, რუსის კორპუსზედ დასაცემადაო, მარტო მე არ ძალმიძს, – ატყობინებდა გურიის მთავარი, წინააღმდეგობა გაუწიო და მანდეთკენ წამოსვლის საშვალება არ მივცეო. ამ ამბის გამგონე იაზიკოვი მეტად შესწუხდა და შეშინდა. აქვე შეეხვეწა სოლომონს, რამე ნაირად მოხმარებოდა, შეეკრიბნა საბრძოლოდ ჯარი და ზურგიდან მოევლო ოსმალებისათვის. სოლომონი შეჰპირდა, თვითონ კი იაზიკოვი მოაჯდა ცხენს და ფოთისაკენ გაემართა სასწრაფოდ, რათა ტოტლებენი გაეფრთხილებინა და სასწრაფო ზომები მიეღო. ტოტლებენს აინუნშიაც არ

ნახ. სევერიან მაისაშვილისა

მოუვიდა იაზიკოვის სიტყვები – მე მაგისთანა ჯარებით დიდი ხანია მაშინებენ, მაგრამ ეგ მართალი არ არისო, – იყო ტოტლებენის პასუხი.

მეორე დღეს მოვიდა ცნობა, რომ ოსმალეთის ჯარი უკვე გურიაში შემოვიდა, 30 კილომეტრის სიშორეშია და სოფლებს აწიოკებს და სძარცვავსო. ტოტლებენს მაინც არა სჯეროდა და სიცილად არა ჰყოფნიდა მოენეს ლაპარაკი, მაგრამ ორი საათი არც კი იყო გასული, რომ მოვიდა მოსაზღვრე ჯარის კაცი და მოახსენა, რომ მდინარე პალიასტომის მეორე მხარეს, 8 კილომეტრის სიშორეზე, ჩირგვნარებში, უკვე გამოჩნდა მტერი და ერთი ჩვენი მოსაზღვრე დაგვიჭრაო. ეხლა კი იკადრა ტოტლებენმა, დაუჯერებელი დაიჯერა და საჩქაროდ მზადებას შეუდგა, პალიასტომზედ გაგზავნა მაიორი ათასი ჯარისკაცით და ორის ზარბაზნით. მეორე დღეს, ე.ი. იქითკენ წავიდნენ ტოტლებენი და იაზიკოვიც. ორივე ფაშა 6000 ჯარისკაცით მოადგნენ პალიასტომს. გადმოსვლას ლამობდნენ და ჩვენზედ დაცემას. ჩვენ მაშინვე სეტყვასავით ტყვია დავაყარეთ, ზარბაზანიც დავაქუხეთ, – ამბობს თავის მოხსენებაში იაზიკოვი და მტერს საშუალება არ მივეცით მეორე ნაპირას გადმოსულიყოვო. მტერმა ვეღარ გაუძლო ჩვენს შეტევას, უკან დაიხია, ჩირგვნარებს მოეფარა და იქიდან დაგვიშინა თოფით, მოგვიკლეს პარუჩიკი ლუსია და ორი ჯარისკაცი.

გაჭირვებაში ჩავარდა რუსის ჯარი, ლაპარაკი არ უნდა, წყალს რომ გადმოსულიყო ოსმალეთის ამოდენა ლაშქარი, სძლევდა რუსებს და ცუდს დღეს დააყრიდა. ამ საზარალების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო სასწრაფო დახმარება სოლომონ მეფისა. ლვოვი ცხენზედ შესვეს და სასწრაფოდ სოლომონისაკენ აფრინეს. სოლომონს სასწრაფოდ უნდა დაეკავა ზურგიდან თავისის ჯარით. შეშინებული ტოტლებენი ყელს უწევს ლვოვს და ემუდარება, შეეხვეწე ჩემს მაგიერ სოლომონს, ოღონდ ეხლა დაგვეხმაროს, გვიხსნას გაჭირვებიდან და დაპირებულ 50000-ს აუცილებლივ აუნაზღაურებო. მაგრამ სოლომონს თხოვნა აღარ უნდოდა, ის უკვე მზად იყო გასალაშქრებლად.

ტოტლებენი იმ დღეებში სრულიად გამოიცვალა, ამბობს იგივე იაზიკოვი, მოლბა, მოტყდა, ყველას წარბებში შემოგვყურებდა და რჩევა-დარიგებას გვეკითხებოდა. საჩქაროდ მოიწვია კორპუსის უფროსი შემადგენლობის თათბირი და გამოუცხადა, მტერს გულგამეხებით დახვედროდნენ. თურქებმა თუ აქ გაუძლეს, მაშინ ზღვიდანაც მოგვადგებიან, მეციხოვნე ჯარიც გამოვა, ყოველმრივ შემოგვერტყმიან და სრული განადგურება მოგველისო. ამიტომ უარესად ფხიზლობენ და მარჯვედ უნდა ვიყოთო. ტოტლებენმა მიაშველა კიდევ 2 ზარბაზანი და 100 ჯარისკაცი. მტერი ხელახლა ცდილობდა პალიასტომის გადმოლახვას, მაგრამ ამაო იყო ყოველივე ცდა. რუსები ისე მარჯვეთ აყრიდნენ ტყვია-წამალს, რომ საშუალებას არ აძლევდნენ გადმოსვლისა. მტერი იჟლიტებოდა, მაგრამ მაინც ვერ ახერხებდა გადმოსვლას. ამ დროს ოსმალებს შეატყობინეს, რომ სოლომონ მეფე დიდძალის ჯარით მოდის ზურგიდან დასაცემად. საკმარისი იყო ამის გაგონება, რომ მტერი შედრკა, შეშინდა და უკან გაბრუნება ამჯობინა სრულ განადგურებას. ღამით, ჯერ გარიჟრაჟი არ იყო, რომ ოსმალები შეუმჩნევლად დასხდნენ 60 ნავზე და გაიპარნენ.

ბრძოლის ველზე ოსმალებს დარჩათ ერთი რკინის ზარბაზანი, რამდენიმე ცხენი და სხვა მცირე რამ იარაღის მოწყობილობა. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მეფე სოლომონს კი, რომ არ ეშველნა, ცუდათ იყო საქმე. მტერმა მხოლოდ მაშინ იკადრა გაბრუნება, როცა დარწმუნდა, რომ სოლომონ მეფე ზურგიდგან უვლიდა და სრული განადგურება მოელოდათ. მე რომ იმჟამად იქ არა ვყოფილიყავი, მაინც აუცილებლათ განადგურება მოელოდა. ტოტლებენი საშინელი ჯიუტი და თვითნება კაცია, არავისგან რჩევა-დარიგებას არ იღებს, არც მეფეებისგან და არც თავის თანამშრომლებისაგან. მეფე სოლომონს, რომელმაც აუნაზღაურებელი დახმარება გაგვიწია უაღრესად გაჭირვებულ დროს, ხელახლა წაეჩხუბა და უსიამოვნება დაუწყო. არც ერთს მეფესთან არ უნდა რამე საერთო იქონიოს და ისეთი პირადნების აქ დაყენება ყოვლად შეუძლებელია (ცაგ, გვ. 282).

მაგრამ იაზიკოვის ხელახლივ თხოვნა საჭირო აღარ იყო, ტოტლებენი უკვე პირველსავე მოხსენების შემდეგ მოხსნილი იყო, 17 იანვრიდამ 1771 წლისა, უკანვე უნდა წასულიყო. მაგრამ ვიდრე პეტერბურგის დადგენილება საქართველომდე მოაღწევდა, ტოტლებენი უმწეოდ იდგა ფოთში, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ციხეს ვერ აიღებდა და 8 თებერვალს უკვე ალყა მოხსნა და იმერეთისკენ გაბრუნდა. სამივე ტყუილ-უბრალოდ უკირკიტებდა ამ პატარა ციხეს. ტოტლებენმა მისი აღებაც კი ვერ შესძლო, გამობრუნდა და თავისი ჯარით დაიბანაკა იმერეთს და სამეგრელოს საზღვარზედ.

ასე სამარცხვინოთ გათავდა ტოტლებენის მისია საქართველოში. 1770 წ. აგვისტოში (!) ჩამოვიდა და 17 იანვარს 1771 წ. მოიხსნა იმპერატრიცის განკარგულებით. ის რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა ეკატერინე, სრულიად არ გამართლდა. ტოტლებენი უმოქმედოდ დაყიალობდა საქართველოს ერთის კუთხიდან მეორეში და ამ ხნის განმავლობაში ერთი ციხის აღებაც კი ვერ მოახერხა... ის მარტო მეფეებს ეჩხუბებოდა ტყუილ-უბრალოდ და ხალხსა ცარცავდა. იმას მარტო საშოვარზედ გაურბოდა თვალები, სურდა, მარტო ქალაქები და იქ ნაშოვნი ნადავლით გამდიდრებულიყო. ამისთანა კაცი ვერც გააკეთებდა რამეს და აკი ასეც მოხდა. საუბედუროთ გვიან გაუგო რუსეთმა ეს ამბავი ტოტლებენს.

გორის ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, (გსიემ - 8102/188), გვ. 1-33

1 ცაგარელი. გრამატი. გვ. 291



ნახ. ჰამლეტ არაიანისა

სახალხო დღესასწაულები

„ზარზმობა“ საზეიმოდ აღინიშნა

ახლახან ადიგენის მუნიციპალიტეტში – სოფელ ზარზმის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აღინიშნა ტრადიციული სახალხო დღესასწაული – „ზარზმობა-2019“, სადაც ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ (ჭუაძემ) წირვა-ლოცვა აღავლინა. პარალელურად, იქვე, მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამსახურებულ ანსამბლ „ერისიონთან“ არსებულმა ქორეოგრაფიულმა და მომღერალთა ანსამბლებმა – „ელეონმა“ და „ალეგრომ“, ასევე ადგილობრივმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და დამსწრე საზოგადოებას ტრადიციული დღესასწაული მიულოცეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერმა ზაქარია ენდელაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა, ახალციხისა და ადიგენის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი კოპაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოეწყო ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

წლევანდელი „ზარზმობა“ იმითაც იყო მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი, რომ ამ დღეს გაიმართა ადიგენის საპატიო მოქალაქების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. ამჯერად ადიგენის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ ადიგენისა და ხევაშენის საჯარო სკოლების პედაგოგებს – თინა კუბლაშვილსა და აზა სახოკიას (ამჟ. პენსიონერი); ბიზნესმენებს თემურ თათოშვილსა და გელა ობოლაშვილს, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტს, მეუფე თეოდორესა და ზარზმის მონასტრის წინამძღოლს, არქიმანდრიტ ნიკოლოზ გეწაძეს, აკადემიკოს ვაჟა ბერიძეს.

ეთერ ლოგჯანიძე,
დ.ადიგენი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ძვირფასო მეგობრებო. იწურება 2019 წელი და უმორჩილესად გთხოვთ, მიმდინარე წლის დეკემბრამდე უზრუნველყოთ გაზეთის ხელმოწერის დავალიანების დაფარვა.
შეგახსენებთ ჩვენს საბანკო რეკვიზიტებს:
შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“,
ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი;
ბანკის კოდი – 220101451;
ანგარიშის N GE72LB0113115795007000;
საიდენტიფიკაციო კოდი 223100908.

გაზეთის რედაქცია

ფიქრები

***

ნეტავი ჩემო დედილო
დაგბადებოდი ქალია,
არცა მენახა ვაება,
არც ამოდენა ჯარია.
მე საწყალმა რა ვიცოდი,
„ნასტუპლენიეს“ ძალია,
ზარბაზანმა ვერა რა ქნა
ციალო ჰაეროპლანია,
ისე გაგვშალეს მინდორზე,
როგორც კოლხოზის ცხვარია.
გადმოჰყრის ტყვია-წამალსა,
დახოცა ჩვენი ჯარია.
ბოტი ყვერებივითა.
ზურგზე ნაწნავი აყრია
მანუკას ჯორივითა.
ეს რომ ილომ გაიგონა,
გახდა კაკაბივითა,
ილო ბიჭი აგრე გახდა,
როგორც ჭარხალია,
ულვაშები გადახატა
სუდი მწერალივითა.
თოსუაშვილო ილო
დიდხანს იცოცხლეო.

მთქმელი **არჩილ ჯვარიძე**,
85 წლის. სოფ. ჭობარეთი

***

ქვეშაგები აწუწუნდა:
ჩემზე მეტი თქვენ რა გხდებათ,
ზედ რომ ტვირთი დამაწვება,
ზედა ტანი აღარ მრჩება.
აქ ლეიბმა წაიკითხა:
ჩემზე მეტი შენ რა გხდება,
ზედ რომ ტვირთი დამაწვება,
ზედა ტყავი აღარ მრჩება.
აქ საბანმა გაიგონა,
ჩემზე მეტი თქვენ რა გხდებათ,
ყველაფერი საიდუმლო,
ეს ხომ ყველა ჩემს ქვეშ ხდება,
ეს ბალიშმა გაიგონა,
ჩემზე მეტი თქვენ რა გხდებათ,
საიდუმლო ხვევნა-კოცნა,
ეს ხომ ყველა ჩემთან ხდება.

მთქმელი **ელე ზედგინიძე**.
100 წლის. სოფ.ჭობარეთი

***

მე იანვარში ვგრიხე ღვედები,
და თებერვალში ჯილღა გოგრები,
მარტის დღიდანვე ნიშა ხარები
მიმოდიოდნენ დაგრეხილები.
აპრილში ვთესე დიკა კამარა,
მაისში უღელს ჯილღა ვაცალე,
და მოვიხელთე ურემი მალე,
არ შეიძლება მოცდენა ხარის,
ივლისის დღიდან გოგრები ვმართე,
ივლისშიც კარგი ჩათო ვიგრიხეთ,
აგვისტოს ვნახე შინდის ტაბიკი,
და კი მოვმართე ურემი ხელად,
შევაბი კიდეც ნიშა ხარები,
სექტემბერია ბოლო დღეები,
მივერეკები რთველში ღიღინით,

მთქმელი **შოთა ივანიძე**,
73 წლის, სოფ. ჭობარეთი

თოსუაშვილო ილო

***

სანიშნათ მომზადებულხარ,
გულში ვინ გიზისო,
სალაანთ ქალო, მარუსა,
აითვალმა მზეეო.
ვინ მოგცა მისი ფართუკი,
საიდან იშოვნეო,
ქარ მოჰქონდა წისქვილისკენ,
სოფლი ბოლოზეო.
მარჯვენა ჯიბეში წერილი სდევსო,
ამოიღე და წაიკითხე მხიარულ გუნებაზეო.
ქალები შექუჩებულან კვირაცხოველზეო.
ქალები გარმონს უკრავენ,
ბიჭები ურბენენო,
გადმო ილო, გადმო ილო,
ნუ ხარ გამწყრალია,
აგერ მოდის მარო ქალი,
მარო სარდალივითა,
ძუძუები გადმოჰყრია

***

მარტმა სთქვა: „თოვლ-ჭყაპს ვაპირებ,
ღმერთო, მომმართე ხელიო,
ცხვარი და ძროხა გავწყვიტო,
არ ვუშვა ჭაკი ცხენიო.
ღრანტე ხევები ავავსო,
არ სჭამდეს ტურა, მგელიო“,
აპრილმა შემოუთვალა:
„მარტო, ხარ ჭკუათხელიო,
სახნის-საკვეთი დავპიროთ,
გუთანს ვუმართოთ ხელიო,
ურემში შევდგათ უღელი,
შევაბათ ყოყინებიო.
ჯერ ქერები დავათაოთ,
მერე ყანებს ვყოთ ხელიო.

მთქმელი **დავით ზედგინიძე**,
70 წლის, ს.ჭობარეთი, ჩაიწერა
მაია ივანიძემ 1995 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, **ვახტანგ ინაური**, **სოსო გიქოშვილი**

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com